ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის, სამართლის ფაკულტეტის, მაგისტრატურის
სტუდენტი

მიხეილ წირქვაძე

არასრულწლოვნის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი: აკაკი გაწერელია (ასისტენტ პროფესორი)

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 2019წ

სარჩევი

შესავალი..... 5

თავიI არასრულწლოვნის უფლებაუნარიანობა,ქმედუნარიანობა,დელიქტუნარიანობა, არასრულწლოვნის თავისუფლება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში.....10

1.1 არასრულწლოვანი 10

1.2 უფლებაუნარიანობა სსკ-ს მიხედვით 11

1.2.1.არასრულწლოვნის უფლებაუნარიანობა.....11

1.3 ქმედუნარიანობა ცნება.....12

1.4 არასრულწლოვნის მიერ სახელშეკრულებო ნების გამოვლენა.....13

თავი II ზიანის ცნება, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, შედარებითი ანალიზი სრულწლოვნის სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან.....14

2.1დელიქტის ცნება 14

2.1.2 დელიქტის არსი სსკ 992 მუხლის მიხედვით 16

2.2 ზიანის ანაზღაურების წესი.....17

2.3 რა მნიშვნელოვანი განსხვავებებია სახელშეკრულებო პასუხისმგებლობასა და დელიქტურ პასუხისმგებლობას შორის 23

2.4 არასრულწლოვნის ზიანის გამომწვევი ქმედების ანაზღაურება ქართული კანონდმებლობის მიხედვით.....25

თავი III არასრულწლოვნის სახელშეკრულებო პასუხიმსგებლობის შედარებითი ანალიზი დელიქტურ პასუხიმგებლობასთან.....29.

3.1 არასრულწლოვნის მიერ დადებული ხელშეკრულება.....29

3.2 ემანსიპირებული არასრულწლოვნის მიერ სამოქალაქო ხელშეკრულების დადება.....31

თავი IV არასრულწლოვნის სამოქალაქო პასუხისმგებლობა ანგლო-ამერიკული სამართლის მიხედვით 32

4.1 ზიანის ანაზღაურება ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში.....32

4.1.1საერთო სამართლის დებულებანი-დელიქტური პასუხისმგებლობა (ანგლო-ამერიკული სამართალი).....33

4.1.2 პასუხისმგებლობის შემოწმება.....34

4.1.3 როგორ ხდება ე.წ. CulpaeIn capax პრეზუმციის უკუგდება და ვინ იღებს საკუთარ თავზე გაუფრთხილებლობას?.....35

4.1.4საერთო სამართლის დოქტრინაში დელიქტური პასუხისმგებლობის წინააღმდეგ კამათი…….... 36

4.2 ზიანის ანაზღაურების წესი აშშ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით.....37

4.2.1.1 მაკჰოლი ვოტსონის წინააღმდეგ.....38

4.2.1.2ტერნეტი-ბუშერისწინააღმდეგ (ლუიზიანა).....39

თავი V არასრულწლოვნის სამოქალაქო პასუხიმგებლობა კონტინენტური სამართლის ქვეყნებში.....41

5.1 სამოქალაქო პასუხიმსგებლობა გერმანიაში.....41

5.2 არასრულწლოვნის სამოქალაქო პასუხიმგებლობის შედარებითი ანალიზი ანგლო-ამერიკული და კონტინენტური სამართლის ქვეყნების მიხედვით.....45

დასკვნა 45

ბიბლიოგრაფია.....47

ტერმინთაგანმარტება

არასრულწლოვანი - მოცემული კვლევის ფარგლებში არასრულწლოვანი და მოზარდი ერთ კონტექსშია გამოყენებული და აღნიშნავს პირს, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისთვის.

ex tunc – დადების მომენტიდან (საწყისი მომენტიდან)

Culpae capax -პრეზუმცია მოდის რომაული სამართლიდან, პირი რომელიც საკუთარი ქმედებისთვის პასუხისმგებელია.

Culpae incapax-პრეზუმცია მოდის რომაული სამართლიდან, პირი რომელიც საკუთარი განვითარებიდან გამომდინარე ქმედებისთვის არ არის პასუხისმგებელი.

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი:

ა.შ	ასე შემდეგ
გამომც.	გამომცემლობა
გვ.	გვერდი
დასახ.	დასახელებული
ე.წ.	ეგრედ წოდებული
იხ.	იხილეთ
სპეც.	სპეციალური
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
შეად.	შეადარეთ

ჟურ. ჟურნალიაბ

შესავალი

ახალი თაობა ნებისმიერი სახელმწიფოს მომავალს წარმოადგენს, ამდენად ახალგაზრდების შესაბამისი აღზდა და სოციუმის სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბება საზოგადოების უმთავრები ამოცანაა. ამდენად არასრულწლოვანთა მიერ სახელმწიფოსა და სოციუმის მიერ დადგენილი წესრიგის (მართლწესრიგის) დარღვევა და მასზე შესაბამისი რეაგირება განსაკუთრებით დელიკატური საკითხია, რომლის სწორად გადაწყვეტაზე ბევრია დამოკიდებული, ვინაიდან არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ ქმედებაზე არაზომიერი რეაგირება ისევ სოციუმს დააზარალებს, მიიღებს რა სამომავლოდ ფსიქოლოგიურად არასწორად განვითარებულ წევრს.

ბუნებრივია ადამიანის განვითარება და ჩამოყალიბება რთული პროცესია, ზრდასრულ ადამიანად გახდომა, რომელიც ასევე პატივს სცემს საზოგადოების სხვა წევრებს და მონაწილეობს მართლწესრიგის შექმნაში გარკვეულ ზემოქმედებასაც მოითხოვს, რომელიც

აღზრდაში და სხვა ღონისძიებებში ვლინდება, მაგრამ სხვადასხვაგლობალური ფაქტორები, სახელმწიფოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მორალის და კულტურის სხვადასხვა გრადაციები თუ სხვადასხვა ფაქტორები, უპირველესად სწორედ არასრულწლოვანებზე აისახება, როგორც სოციუმის ყველაზე მგრძნობიარე ნაწილზე, შესაბამისად არ არსებობს სახელმწიფო, რაოდენ მაღალგანვითარებულიც არ უნდა იყოს, სადაც არ იარსებებდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანები. [1]

კანონი, როგორც სახელმწიფოებრივი იძულების ღონისძიებებით უზრუნველყოფილ ქცევათა ერთობლიობა სოციუმის წევრებს მიუთითებს იმ ფარგლებს, რა ფარგლებშიც მათ უნდა იცხოვრონ. თუმცა არასრულწლოვნები, როგორც საზოგადოების ყველაზე არამდგრადი ელემენტები ხშირად გადადიან ამ ფარგლებს, რაც ბუნებრივია წარმოშობს სახელმწიფოს რეაგირების აუცილებლობას, რათა აღნიშნულმა არ დაარღვიოს მართლწესრიგი და სოციუმის სხვა წევრებს თანაცხოვრების მშვიდი საშუალება მიეცეთ, სწორედ აქ იჩენს თავს საკითხის აქტუალობა, როცა ერთმანეთს ეჯახება არასრულწლოვნის, როგორც განვითარებადი ინდივიდის ინტერესები და საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები, ბუნებრივია ამ კონფლიქტში აუცილებელია გამოინახოს ის ოქროს შუალედი, რომელიც არავის არ დააზარალებს. ცივილიზებული სამყაროს მიდგომა ხომ ასეთ საკითხებში ნებისმიერი კანონდამრღვევის მიმართ ისედაც პრინციპულია, რომ აქცენტი გაკეთდეს დამნაშავის გამოსწორებაზე და სოციუმში რეაბილიტაციაზე, ვიდრე მის დასჯასა და ტანჯვის მიყენებაზე. აღნიშნული კი განსაკუთრებით აქტუალურია არასრულწლოვნის მიმართ, რომ სახელმწიფოს რეაგირება იყოს მყისიერი, აღმზრდელობითი, მიუთითოს კანონის ფარგლებს გარეთ მყოფ არასრულწლოვანს, რომ ასეთი ქცევა არამართებულია, გააღვივოს მასში საზოგადოების სხვა წევრების პატივისცემა, დამკვიდრდეს კანონმორჩილება, საზოგადოებისათვის მისაღები მორალი და ღირებულებები, მართლწესრიგის შეგრძნება, რაც არამხოლოდ გამორიცხავს ან

---

[1]საქართველოსკონსტიტუციისკომენტარი,

თავი2,საქართველოსმოქალაქეობა.ადამიანისძირითადიუფლებანიდათავისუფლებანი.

მინიმუმამდე შეამცირებს განმეორებით დანაშაულის ჩადენის რისკს, არამედ არასრულწლოვანში არ დატოვებს ფსიქოლოგიურ ტრავმას.[2]

არასრულწლოვანმა აუცილებლად უნდა გაიაზროს რა ზიანი გამოიწვია მისმადანაშაულმა და გააცნობიეროს თავისი წილი პასუხისმგებლობა.

თანამედროვე კონცეფციებში დამსჯელობით ზომებთან შედარებით სწორედ სამედიცინო-ფსიქოლოგიურ, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ და სოციალურ-სამართლებრივ დახმარებებს ენიჭებათ უპირატესობა, განსაკუთრებით რისკ-ჯგუფების დაფსიქოლოგიურ-სოციალურ განვითარებაში გადახრების მქონე მოზარდებისათვის. ეს კი გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსურ მიდგომას. ისიც ყურადსაღები ფაქტია, რომ მთელს მსოფლიოში და არა მარტო საქართველოში მოიმატა დანაშაულის რიცხვმა, მათ შორის არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილმა დანაშაულებმაც ,ამიტომ დროული და მიზანშეწონილიც იყო, რომ საქართველოში ბოლო პერიოდში არასრულწლოვანთა საკითხებზე მიდგომები დაიხვეწა და ახალ სტანდარტებზე გადავიდა. [3]

ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში უამრავი მასალის მოძიება შეიძლება არასრულწლოვნის პასუხისმგებლობის შესახებ სისხლის სამართლის კუთხით, თუმცა ამ უკანასკნელის ზიანის გამომწვევი ქმედების სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ თითქმის არ გვაქვს ინფორმაცია. აღნიშნული ნაშრომი იმ მხრივაა საინტერესო, რომ აქ წარმოდგენილია ინფორმაცია არასრულწლოვანთა სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე საქართველოში, ასევე ანდგლო-ამერიკულ და ევრიპული სამართლის ქვეყნებში. გაკეთდა შედარებითი ანალიზი და ჩამოყალიბდა ხედვა თუ როგორი მიდგომა აქვს კანონმდებლობას არასრულწლოვნების პასუხისმგებლობის მხრივ.

---

[2]იხ. სქლიო 3.

[3]ევროპული კომისიის, მოქმედების გეგმა არათანმხლებ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით (2010-2014), COM (2010) 213, საბოლოო, ბრიუსელი, 6 მაისი 2010

მოცემულ ნაშრომში საკანონმდებლო მასალისა და თეორიული ლიტერატურის გაანალიზების ფონზე განხილულია არასრულწლოვნის სტატუსი საქართველოს კანონმდებლობაში,თუ როგორია მათ მიმართ კანონი, რა სპეციფიკით ხასიათდება მათდამი კანონის მიდგომა.

თეზისში პირველ რიგში საუბარია არასწულრლოვნის უფლებაუნაროანობაზე, ქმედუნარიანობასა და დელიქტ უნარიოანობაზე, მის თავისუფლებაზე სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში. შემდეგ თავში ზიანის ცნებაზე, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებასა და სრულწლოვნის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შედარებით ანალიზზე. მესამე თავში არასრულწლოვნის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შედარებით ანალიზს დელიქტურ პასუხისმგებლობასთან. მეოთხე თავი ეხება არასწულრლოვნის სამოქალაქო პასუხისმგებლობას ანგლო-ამერიკული სამართლის მიხედვით, ხოლო ბოლოს არასრულწლოვნის სამოქალაქო პასუხისმგებლობას კონტინენტური სამართლის ქვეყნებში. ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე; 1008-ე მუხლებით გათვალისწინებული, სამართლებრივი პრობლემების წარმოჩენას, რომლებიც ეხებადელიქტურ ვალდებულებას, შესაფერისი საერთაშორისო დოკუმენტების, სამეცნიერო კვლევებისა და სასამართლო პრაქტიკის გამოძიებას, შემდგომ კვევის შედეგად მიჭებული დასკნების გაანალიზებას და ჩვენს ქვეყანაში ეფექტური გზების ძიებას თეზისის თემასთან მიმრთებით არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით.

კვლევის მეთოდები

მოცემულ თეზისში გამოყენებულიაშედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდი. ნაშრომში შესაბამისი ნორმების, მათ შორის სსკ-ის 992-ე და 1008-ე მუხლებში მოცემული ნორმების ისტორიული და ლოგიკური განმარტების მეთოდებით იქნა მიღწეული კვლევის მიზანი.

კვლევის საგანი და ობიექტი.კვლევის საგანსა და ობიექტს წარმოადგენს არასრულწლოვნის სამოქალაქო პასუხიმსგებლობის თავისებურებანი.

თეორიული და მეთოდოლოგიური კვლევა აგებულია ზოგად სამეცნიერო მეთოდოლოგიაზე, რომელიც უზრუნველყოფს ნაშრომის სტრუქტურულ ორგანიზაციას და ხელს უწყობს მისი ძირითადი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. კვლევისასგამოყენებულია,როგორც ქართული, ისე გერმანული კანონმდებლობა, ძირითადად კი საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსები, ასევე ევროპის საბჭოსა და პარლამეტის ის დირექტივები,რომლებიც ითვალისწინებენ შესწავლის ობიექტისა და საგნის სპეციფიკას.

კვლევის შედეგები კვლევის შედეგად ასევე უცხოურ პრაქტიკასთან შედარებით ცნობილი გახდა თუ რაოდენ მწირი და დასახვეწია კანონმდებლობა არასრულწლოვნის პასუხიმსგბელობის მიმართ.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 47გვერდს და შედგება შესავალის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურა.

თავიI არასრულწლოვნის უფლებაუნარიანობა,ქმედუნარიანობა,დელიქტუნარიანობა, არასრულწლოვნის თავისუფლება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში

1.1 არასრულწლოვანი

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არასრულწლოვანი არის პირი რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკს[4]. არასრულწლოვნის უფლებაუნარიანობა იწყება მისი დაბადების მომენტიდან,როდესაც იგი სრულიად გამოეყოფა დედის ორგანოს. ასევე მისი ქმედუნარიანობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიხედვით 7 წლიდან იწყება როდესაც იგი შეზღუდულად ქმედუნარიანი ხდება და მის მოქმედებას მშობლის მოწონება უნდა მოყვებოდეს.სსკ-994 მუხლის[5] მიხედვით [6] 10 წლამდე პირს დელიქტუუნაროა, რაც თავის მხრივ ახალი არაა ქართული სამართლისთვის,ვინაიდან იგივე პირი, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 187-ე მულის თანახმად, დელიქტუუნაროდ ითვლებოდა ძველ ქართულ სამართალშიც.

სსკ-994 მუხლის მიხედვით ათი წლის ასაკიდან პირი დელიქტუნარიანია და პასუხს აგებს იმ ზიანისთვის,რომელიც მან სხვას მიაყენა,გარდა იმ შემთხვევავისა,როცა მას ამის გაცნობიერება არ შეეძლო. იმისათვის,რომ პირმა პასუხი აგოს და იყოს დელიქტუნაირანი იგი უნდა იყოს უფლებაუნარიანიც და ქმედუნარიანიც,რომლის განმარტებასაც მოყვანილია შემდგომ ქვეთავში

1.2 უფლებაუნარიანობა

უფლებაუნარიანობის ცნება [7] გაწერილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, მე-11 I მუხლით „ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა – უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები – წარმოიშობა დაბადების მომენტიდან“.

უფლებაუნარიანობა [8] არის ზოგადი ცნება, უფლება კი არის კონკრეტული კატეგორია.უფლებაუნარიანობა ყველას აქვს, მაშინ როცა, უფლება დაკავშირებულია მხოლოდ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან და მხოლოდ მის მონაწილეს

[4]სსკ-12 მუხლი

[5]საერთაშორისო სამართალი III 2000 წ. გვერდი 14.

[6]არასრულწლოვანიდასაქართველოსკანონმდებლობა ინტ. გვერდი. https://police.ge/files/pdf/arasrulclovanebi/law.pdf

[7]ბესარიონ ზოიძე სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ბოლო დამუსავება 2016 წელი გვ. 1

[8]ჭანტურია, სამოქალაქოსამართლისზოგადინაწილი, 2012, გვ. 176; ასევე: ჭანტურია, სკ-ისკომენტარი, წიგნი I, მუხ. 11, გვ. 41.

აქვს.უფლებაუნარიანობასა და უფლებას შორის ისეთი მიმართებაა, როგორიც შესაძლებლობასა და სინამდვილეს შორის არის.

უფლებაუნარიანობამე–11 I მუხლით, დაბადების მომენტიდან წარმოიშობა.დაბადება სამართლის სუბიექტის დაბადებას გულისხმობს. ამიტომაც, სამართლის სუბიექტის ყოლა დამოკიდებულია დაბადების მომენტის განსაზღვრაზე.საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არაა დაბადების მომენტი.დედის ორგანიზმისაგან განცალკევებული, ცალკე დამოუკიდებელი არსება უფლებაუნარიანია და მნიშვნელობა არა აქვს თუ როგორი იქნება მისი შემდგომი სიცოცხლის უნარიანობა.მთავარია, დაბადების მომენტში იყოს სასიცოცხლო ფუნქციის მატარებელი.

როგორც სსკ მე–11 I მუხლის მიხედვით, უფლებაუნარიანობის წარმოშობა დაბადების ფაქტს უკავშირდება, ამავე მუხლის მე–3 ნაწილით, გარდაცვალება მის შეწყვეტას იწვევს. უფლებაუნარიანობა [9] პირის ფიზიკური სიკვდილით წყდება.გარდაცვალების ფაქტს უკავშირდება სუბიექტის ქონებრივი უფლება-მოვალეობების ბედი,იხსნება სამკვიდრო (1313) დაწყდება ვალდებულება (453).გადამწყვეტია გარდაცვალების დროის დადგენა,ასეთად ჩაითვლება პირის გულის ან ტვინის გათიშვა.[10] უფლება უნარიანობას ცნების განმარტების შემდგომ დელიქტუნარიანობაზე გადასასვლელად საჭიროა განხილულ იქნას პირის ქმედუნარიანობაც,რაც შემდგომ ქვეთავშია წარმოდგენილი.

1.3 ქმედუნარიანობა

[9]AnwaltKommentar zum BGB AT, 2005, §1, Rn. 12.

[10]კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 106.

ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა არის პირის[11] უნარი, თავისი ნებითა და მოქმედების სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით, ქმედუნარიანობის სრული მოცულობით შეძენა ასაკზეა დამოკიდებული. შვიდ წლამდე არასრულწლოვანი ქმედუუნაროა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი დამოუკიდებლად ვერ განახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს. მისი კანონიერი წარმომადგენელი მშობელი ან მეურვეა. თუკი შვიდ წლამდე არასრულწლოვანი მიიღებს მემკვიდრეობას, მისი მართვა მხოლოდ მშობლის ან მეურვის მიერ დაიშვება.
შვიდიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანი შეზღუდული ქმედუნარიანია, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ უფლებების ნაწილის განხორციელება შეუძლია, მისი კანონიერი წარმომადგენელია მშობელი ან მზრუნველი. მაგალითად, მას შეუძლია განკარგოს ჯიბის ფული, რომელიც მისცეს მშობლებმა, ჰონორარი, რომელიც საკუთარი გამომუშავებით აიღო და ა.შ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თუკი არასრულწლოვანმა რაიმე გარიგება დადო (მაგალითად, შეგროვილი თანხით იყიდა ძვირადღირებული ფოტოაპარატი), მშობლის ან მზრუნველის მიერ ამ გარიგების მოწონება მისი ნამდვილობის აუცილებელი პირობაა. თუკი მშობელი ან მზრუნველი ჩათვლის, რომ არასრულწლოვნის მიერ დადებული ეს გარიგება ეწინააღმდეგება მის ინტერესებს (მათ შორის, აღმზრდელობითსაც), ეს გარიგება ბათილია და უნდა აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა (იურიდიულად ამას რესტიტუცია ჰქვია) – თანხა დაუბრუნდეს არასრუწლოვანს, შენაძენი – გამსხვისებელს.
რაც შეეხება შეზღუდული ქმედუნარიანი პირის პასუხისმგებლობას, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დგება ათი წლის ასაკიდან, ხოლო სისხლის სამართლის – თოთხმეტი წლიდან. სამოქალაქო პასუხისმგებლობის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ არასრულწლოვნის მიერ სხვისი ქონების დაზიანება, მაგ. ფანჯრის ჩამსხვრევა. ასეთ შემთხვევაში მშობელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა. ასეთი ერთობლივი პასუხისმგებლობის მაგალითი შეიძლება იყოს მშობლის მიერ ახალი მინის ყიდვა, ხოლო არასრულწლოვნის მიერ მისი ჩასმა.

შეიძლება ფიზიკური პირი ასაკის მიუხედავად გამოცხადდეს ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად. მაგალითად, ქმედუუნაროდ შეიძლება ჩაითვალოს სულით ავადმყოფი ან ჭკუასუსტი პირი, რომელსაც არ აქვს იმის უნარი, თავად დაიცვას საკუთარი უფლებები და შეასრულოს მოვალეობები. ასეთი პირს სჭირდება მეურვე. რაც შეეხება შეზღუდულ ქმედუნარიანობას, შესაძლოა ასეთად ოჯახის წევრების თხოვნით გამოცხადდეს პირი, რომელიც ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მოხმარების შედეგად მძიმე მდგომარეობაში აყენებს ოჯახს და საჭიროა მისი უფლებების შეზღუდვა. პირის ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად გამოცხადება და შესაბამისად, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს ქმედუნარიანობის შეზღუდვა გარიგებით დაუშვებელია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაუშვებელია, პირმა დადოს ისეთი გარიგება, რომელიც მის მიერ მისი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების შესაძლებლობაზე უარის თქმას ავალდებულებს.

[11] ინტ.გვერდი. https://temidas.wordpress.com/2011/05/29/qmedunarianoba/

უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის განხივლის შემდგომ,საინტერესო იქნება როგორია არასრულწლოვნის მიერ გამოხატული ნების ნამდვილობა რა პრობლემასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, უფლებაუნარიან, მაგრამ შეზღუდულ ქმედუნარიანი პირის მიერ ხელშეკრულების დადება.

1.4 არასრულწლოვნის მიერ სახელშეკრულებო ნების გამოვლენა

სსკ-63 მუხლის მიზანია არასრულწლოვნის დაცვა იმ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებისაგან, რომლებიც მის მიერ ხელშეკრულების დადებას შეიძლება მოჰყვეს. ამ თვალსაზრისით მუხლი განამტკიცებს პრინციპს, რომლის თანახმად არასრულწლოვნის მიერ ისეთი ხელშეკრულების დადება, რომლითაც ის სამართლებრივ სარგებელს არ იღებს, მოითხოვს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას.[12]

მართალია, მცირეწლოვანებისაგან (7 წლამდე: 12 IV მუხლი) განსხვავებით, არასრულწლოვნებს (7-დან 18 წლამდე) აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო ბრუნვაში, მაგრამ მათი ეს მონაწილეობა შეზღუდულია მხოლოდ სარგებლის მომტანი ან ნეიტრალური ხელშეკრულებების [13] დადების შესაძლებლობით. სხვა შემთხვევაში აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლების თანხმობა

63-ე მუხლი გამოიყენება მხოლოდ არასრულწლოვნის მიერ დადებული ორმხრივი გარიგებების (ხელშეკრულებების) მიმართ, რომლებითაც არასრულწლოვანს შეიძლება სამართლებრივი ნაკლი წარმოეშვას.

---

[12] შდრ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 107; MüKo/*Schmitt,* BGB 6. Aufl., 2012, § 107 Rn. 1.

[13] შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 107 Rn. 1

არასრულწლოვანის მიერ ყველა ორმხრივი გარიგების — ხელშეკრულების — დადებისათვის, რომლიდანაც არ იღებს სამართლებრივ სარგებელს, მიუხედავად იმისა, ეს სარგებელი უშუალოდ ძირითადი გარიგებიდან გამომდინარეობს თუ დამატებითი ვალდებულებებიდან.

აღნიშნული გარიგებები მერყევად ბათილია, ვინაიდან არსებობს კანონიერი წარმომადგენლისაგან მისი მოწონების შესაძლებლობა, რაც გარიგებას ნამდვილობას მიანიჭებს.[14] თუ კანონიერი წარმომადგენელი არ გასცემს თანხმობას, მაშინ გარიგება ბათილი იქნება დადების მომენტიდან, ე.წ. ex tunc.

აღიარებული შეხედულების მიხედვით ეკონომიკურ სარგებელს არა აქვს მნიშვნელობა. გადამწყვეტია სამართლებრივი სარგებელი[15] და სამართლებრივი შედეგები.

სამართლებრივად წამგებიანი იქნება გარიგება, თუკი მისგან არასრულწლოვანს რაიმე ვალდებულება ეკისრება. აქედან გამომდინარე, ორმხრივი სასყიდლიანი ხელშეკრულებები უფლებრივი ნაკლის მომტანად მიიჩნევა, რადგან ისინი არასრულწლოვანს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებენ.

სამართლებრივად სარგებლის მომტანად მიიჩნევა ისეთი გარიგებები, რომლებიც არასრულწლოვნის სამართლებრივ მდგომარეობას აუმჯობესებენ, მაგალითად, უფლების შეძენა, საკუთრების შეძენა, ჩუქება და ა.შ.

სამართლებრივი სარგებლის შემცველია ყველა ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება, რომელიც არასრულწლოვანს მხოლოდ [16] მოთხოვნის უფლებას ანიჭებს, მაგალითად, საჩუქრის დაპირება (525 III მუხლი).

ნასყიდობას, ქირავნობას, ნარდობას და სხვა მსგავს ხელშეკრულებებს მარტო სამართლებრივი სარგებელი კი არ მოაქვს არასრულწლოვნისათვის, არამედ ვალდებულებებსაც აკისრებს მას.11 ამიტომ მათზე ვრცელდება 63-ე მუხლის შეზღუდვა.

---

[14] *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ.63, გვ.205; *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 386.

[15] *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 63, გვ. 204; შდრ. *Wendtland* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 107 Rn. 3.

[16] *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 63, გვ. 205

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ იმისათვის რომ არასრულწლოვანი იყოს დელიქტუნარიანი საჭიროა იყოს უფლებაუნარიანიც და შეზღუდულ ქმედუნარიანი რადგაანც დელიქტური პასუხისმგებლობა იწყება არასრულწლოვნის 10 წლის ასაკიდან. იმისათვის რომ არასრულწლოვნის დელიქტური პასუხისმგებლობა იქნას განხილული საჭიროა განმარტებული იქნას ზოგადად რა არის დელიქტი და მისით მიყენებული ზიანი რაც უკვე შემდგომ თავშია წარმოდგენილი

თავიII ზიანის ცნება, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, შედარებითი ანალიზი სრულწლოვნის სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან

2.1 დელიქტის ცნება

დელიქტის ლეგალურ დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. მართალია, მისი[17] 992-ე მუხლის უნივერსალური ფორმულირება ადგენს პასუხისმგებლობას ნებისმიერი განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიყენებული ზიანისათვის,თუმცა დელიქტის უნიფიცირებული განმარტების ჩამოყალიბება სირთულეებთან არის

[17]ლ.ჭანტურია სამოქალაქო კოდექსის კომენტარები წიგნი 4

დაკავშირებული. ძირითადად სირთულეს წარმოადგენს ერთმანეთისაგან სამართლებრივი შინაარსით არსებითად განსხვავებული დელიქტების ერთ ცნებაში ,,თავმოყრის“ შეუძლებლობა. დელიქტური სამართალი სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით ვითარდება.მისი კომპლექსური ბუნებისა და განვითარების დინამიკური პროცესის სტატიკური სამართლებრივი განმარტების ჩარჩოებით შეზღუდვა არ არის მიზანშეწონილი.

სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმა ზოგადია მის მომდევნო ნორმებთან მიმართებაში, ვინაიდან ეს უკანასკნელი ზიანის მიყენების ყველაზე გავრცელებულ, თუმცა, მაინც კონკრეტულ შემთხვევებს არეგულირებენ.

აღნიშნულის კლასიკური მაგალითია[18] გერმანული სამოქალაქო კოდექსის § 823, რომლის თანახმადაც, სამართლებრივი დაცვის ღირსად აღიარებულია სიცოცხლე, ადამიანის სხეული, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საკუთრება ,,ან მათი მსგავსი“ სხვა უფლება.სწორედ ეს უკანასკნელი, აბსტრაქტული ფორმულირება მსგავსებაზე წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკის განვითარების შესაძლებლობას და აძლევს სასამართლოს დაიცვას ასევე ის უფლებები, რომლებიც პირდაპირ არ არის კანონში ჩამოთვლილი.
მოშველიებული საკანონმდებლო დანაწესის საფუძველზე, ცხადია რომ, უმთავრესი სიკეთე, რის წინააღმდეგაც შეიძლება მართლსაწინააღმდეგო ქმედება იყოს მიმართული, არის პიროვნება და საკუთრება.ამ ორი უფლების სხვადასხვა კომბინაციამ კი შეიძლება მოგვცეს ცალკე აღებული სამართლებრივი სიკეთე, რომლის დაცვასაც კანონმდებელი სავალდებულოდ მიიჩნევს.

სამართალი არ აღიარებს და დაცვას არ ანიჭებს უფლებას, რომელიც მხოლოდ იმიტომ ხორციელდება, რომ ზიანი[19] მიადგეს სხვას.რაც შეეხება სსკ-ის 992-ემუხლს.პირი,რომელიცსხვა პირს მართლსაწინაარმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ,,ზიანი“ სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური

[18]გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §823

[19] ზ.ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია - სახელშეკრულებო სამართალი. სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის.გამომცემლობა ,,მერიდიანი“. თბილისი 2014 წ. გვ 67.

და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება. ცნებიდან გამომდინარე აღნიშნული მუხლი საჭიროებს უფრო ჩარრმავებას და სსკ 992 მუხლის წინაპირობების განხილვას რათა ზუსტად მოხდეს დელიქტის არსის გაგება,რათა სემდგომ უკვე დაკონკრეტდეს არასრულწლოვნის დელიქტური ქმედება.

2.1.2 დელიქტის არსი სსკ 992 მუხლის მიხედვით

რაც შეეხება სსკ-ის 992-ემუხლს.პირი,რომელიც სხვა პირს მართლსაწინაარმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ,,ზიანი" სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება.

992-ე და შემდგომი ნორმებიდან გამომდინარე, ზიანი შეიძლება მიადგეს სხვა პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრების უფლებას, მატერიალურ ქონებას ან სხვა უფლებას.ანალოგიურად, ვალდებულება მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უნდა დაეკისროს ასევე პირს, რომელიც არღვევს კანონს, რომელიც სხვა პირის ინტერესებს იცავს.თუკი კანონიდან გამომდინარე ბრალის გარეშეც შეიძლება ზიანის მიყენება, - ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მხოლოდ ბრალის არსებობისას დგება. ამ შემთხვევაში ქართული სამოქალაქო კოდესის 992-ე მუხლი ანალოგიურია ბგბ-ის 823 [20]პარაგრაფისა.

,,იმისათვის, რომ ქმედება 823-ე პარაგრაფის დარღვევად მივიჩნიოთ, აუცილებელია შემდეგ წინაპირობებს აკმაყოფილებდეს: პირველ რიგში, დარღვევა უნდა იყოს ადამიანის ქცევის შედეგი რაც ხელყოფს ერთ-ერთ ჩამონათვალ სიკეთეს მაინც, კერძოდ: სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრების უფლებას ან სხვა უფლებას; მეორე რიგში კი აუცილებელია დავადგინოთ მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და იმ შედეგს შორის, რომელიც ზიანის სახით მოსარჩელემ განიცადა .[21]

[20]გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823 პრაგრაფი.

[21]ი. ხარაზი, ქ. კვინიკაძე - კანონისმიერივალდებულებითიურთიერთობები, ლექციებისკურსი, თბ. 2016წ. გვ 386

მაგალითად ჰოლანდიური სამოქალაქო კოდექსი რომ მოვიყვანოთ დელიქტის ზოგადი წესის განმარტებას 6:162[22] მუხლის 1-ლ ნაწილშიამოცემული. ამ მუხლის თანახმად,,პიროვნებას, რომლის მიმართ ჩაიდინეს უკანონო ქმედება, შეუძლია მოითხოვოს მიენებული ზიანის ანაზღაურება.“

ორივე ქვეყნის კანონების გაანალიზების შედეგად შეიძლება ითქვას,რომ როგორც საქართველოში, ისე ნიდერლანდებში, დაზარალებულმა პიროვნებამ - მოსარჩელემ - სასამართლოს წინაშე უნდა დაადასტუროს ხუთი პირობის არსებობა. უპირველეს ყოვლისა, სამართალდამრღვევის ქმედება უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო, მეორე - კანონდამრღვევის ქმედება გაუფრთხილებლობით მაინც უნდა იქნეს ჩადენილი, მესამე - ქმედება სამართალდამრღვევს უნდა მიეწერებოდეს, მეოთხე - მოპასუხემ უნდა განიცადოს ზიანი და მეხუთე - ზიანი სამართალდამრღვევის ქმედებით უნდა იყოს განპირობებული.[23]

დელიქტი ზიანთან არის დაკავშირებული,რომელიც პირს მიადგა სხვა პირის განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედებით. იმისათვის რომ სამართალი აღსრულდეს და ზიანი ანაზღაურდეს საჭიროა განხილულ იქნას ზიანის ანაზღაურების წესი დელიქტით მიყენებული ზიანისა.

2.2 ზიანის ანაზღაურების წესი.

იურიდიული პასუხისმგებლობა დგება სამართალდარღვევის შემთხვევაში.სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ- ერთი სახეა, ამიტომ მას ახასიათებს როგორც სპეციფიკური, ასევე საერთოდ იურიდიული პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

მეცნიერებაში გავრცელებული თვალსაზრისით, სამართლებრივ ნორმაზე დაფუძნებული ყველა იძულებითი ღონისძიება არ არის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოხატულება, ე.ი. სანქციის გამოყენება ყოველთვის არ ნიშნავს სამო-ქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობაეს არის ისეთი ხასიათის სანქცია, რომელიც იწვევს განსაზღვრული სახის

[22]ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი მუხლი 6:162

[23]მ. თოდუა, ჰ. ვილემსი - ვალდებულებითისამართალი, ახალგაზრდაიურისტთაასოციაცია, 2006წ

ქონებრივ თუ პირადი ხასიათის შეზღუდვებს 1.მაგალითად, თუ მოვალეს აიძულებენ, კრედიტორის წინაშე შეასრულოს ვადამოსული ვალდებულება, ეს იქნება სანქცია, მაგრამ არ იქნება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან იმ შემთხვევაში გვექნება საქმე, როდესაც პირს დაეკისრება ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდა და ა.შ.

ზ. ახვლედიანი აღნიშნავს, რომ „ყოველგვარი სანქცია, რომელსაც კანონი ადგენს ვალდებულების დარღვევისთვის, არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას. სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ ისეთი სან-ქციები წარმოადგენენ, რომლებიც ითვალისწინებენ ვალდებულების დამრღვევი პირისათვის იმის ზემოთ დამატებით მოქმედებათა შესრულების დაკისრებას, რაც მას ვალდებულებით ეკისრებოდა.“[24]

სამართალ დამრღვევისათვის ქონებრივი სანქციების დაკისრება დაზარალებული მხარის დაცვის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ქონებრივი სანქციის გამოყენებით[25]ხდება უფლება დარღვეული პირის ქონებრივი მდგომარეობისაღდგენა. როგორც წესი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის მოცულობა შეესაბამება მიყენებული ზიანის ოდენობას, თუმცა აქაც შეიძლება არსებობდეს გამონაკლისები.

სწორედ დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენაში ჩანს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკომპენსაციო ხასიათი.„სამოქალაქო ბრუნვაში სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ვალდებულების დარღვევას აუცილებლად მოჰყვება ურთიერთობის სხვა მონაწილეთა უფლებების დარღვევა. ამიტომაც, ქონებრივი სანქცია, რომელიც გამოიყენება ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველთვის მიზნად ისახავს დაზარალებულის დარღვეული უფლების აღდგენას ან კომპენსაციას.“[26]

[24]ზ., ვალდებულებითისამართალი, თბ., 1999, 64.
[25]იხ. მე-12 სქოლიო

[26]ჭანტურიალ.,შესავალისაქართველოსსამოქალაქოსამართლისზოგადნაწილში, თბ., 1997, 60.

„სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობაეს არის სანქციათა დაწესება სამართალ დარღვევისათვის, რომელიც დამრღვევის მიმართ იწვევს უარყოფით შედეგებს სუბიექტური სამოქალაქო უფლებების შეზღუდვის სახით ან ახალი თუ დამატებითი სამოქალაქო სამართლებრივი მოვალეობების დაკისრების გზით.“[27]

ამრიგად, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც არის სამოქალაქო სამართალდარღვევის შედეგი, ეკისრება სამართალ დამრღვევს უფლება დარღვეული პირის მდგომარეობის აღსადგენად და გამოიხატება სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმებით.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობას. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას; არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა კი მაშინ, როდესაც სამართალდამრღვევმა თავისი ქმედებით ზიანი მიაყენა იმ პირს, რომელიც არ იმყოფებოდ ამასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში.

პასუხისმგებლობის ასეთ დაყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული ასეთ ურთიერთობათა მიმართ ამა თუ იმ ნორმის გამოყენება. თუ საქმე ეხება იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც დელიქტური ვალდებულებიდან წარმოიშობა, გამოყენებული უნდა იქნეს ამ ვალდებულების მარეგულირებელი ნორმები, ხოლო თუ ზიანი პირს მიადგასახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად, მაშინ ზიანისათვის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებით და იმ ნორმათა წესებით, რომლებიც ასეთ ურთიერთობას არეგულირებს.[28]

[27]თოდუამ.,ვალდებულებითისამართალი, თბ., 2006, 37.

[28]იხ. ახვლდეიანი ზ. ვალდებულებიტი სამართალი თბ.,1999 . 65

არასახელშეკრულებო [29] პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი საფუძველია ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება; თუ ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის არ არსებობდა სამოქალაქოსამართლებრივი ვალდებულება, რომლის დარღვევას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ზიანის მიყენება, აღნიშნული სახის პასუხისმგებლობა რომ დადგეს, დაზარალებულმა უნდა განიცადოს რეალური ქონებრივი დანაკლისი.

სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს პასუხისმგებლობის ისეთ სახეს, როგორიცაა სუბსიდიური პასუხისმგებლობა.იგი გამოიყენება კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი, პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის(შემდგომში — სსკ) 994-ემუხლისმე-3 ნაწილით დამატებითი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც.[30]

არასრულწლოვანთა წარმომადგენლები სუბსიდიური პასუხისმგებლობა ისპობა იმ შემთხვევაში, როდესაც მოზარდები მიაღწევენ სრულწლოვანების ასაკს ან გაუჩნდებათ მათ მიერ მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად საკმარისი სახსრები.

ზიანი სამოქალაქო სამართალში შეიძლება წარმოიშვას ერთი მხრივ, ერთ-ერთი მხარის ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, მეორე მხრივ კი, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები ზიანის მიყენებამდე არ იმყოფებოდნენ ვალდებულებით ურთიერთობაში. ზიანის წარმოქმნისას სუბიექტის სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობისა და მისი ანაზღაურების ვალდებულების წარმოქმნის სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისად, სამოქალაქო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს ,,სახელშეკრულებო“ და ,,არასახელშეკრულებო“ ზიანს.

[29]მ. დუნდუა, დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელსეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა გვერდი 6
[30]იხ. ახვლედიანიზ.,ვალდებულებითისამართალი, თბ., 1999, 65.

მოწინავე გერმანული ცივილისტიკა დელიქტად - Unerlaubte Handlungen მიიჩნევს აკრძალულ მოქმედებას, დანაშაულებრივ მოთხოვნას. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით კი, მას Zwischenrecht -ს (სამართალშორის ნორმებს) უწოდებენ. სრულიად განსხვავებულ განმარტებას გვაძლევს საერთო სამართლის ქვეყნების სამართალი, სადაც დელიქტად (tort wrong, tortus wrong) მიჩნეულია მოქმედება ,რომელიც ზიანს აყენებს ადამიანის აბსოლუტურ უფლებებს და როცა ზიანის მიმყენებელი იდენტიფიცირებულია და იგი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. ამასთან, ზიანად მიჩნეულია არა ლიკვიდირებული ზიანი, რომელიც გამომდინარეობს ნდობის დარღვევიდან, ან სხვა თანაბარ მნიშვნელოვანი ვალდებულებების დარღვევიდან.[31]

ზოგადად სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, მოვალისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება (ზიანის ანაზღაურების დაკისრება), შესაძლებელია თუ არსებობს შემდეგი ოთხი ელემენტი: 1) მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. 2) ზიანი. 3) მიზეზობრივიკავშირი მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის. 4) მოვალისბრალი

თუმცა არსებობს ისეთი საგამონაკლისო დელიქტები, რომლებიც ბრალისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედების გარეშე ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას.ასეთია ე.წ. მომეტებული საფრთხის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევები (მაგ. ელექტრო მოწყობილობიდან გამომდინარე ზემოქმედების შედეგად მიყენებული ზიანი). [32]
ევროპულ მოდელურ კოდექსში[33] (DCFR – Draft Common Frame of Refference) მოცემულია გენერალური დელიქტის ცნება (992-ე მუხლის ანალოგი). ნორმა ორი ნაწილისგან შედგება:
1.პირირომელსაცმიადგაზიანიუფლებამოსილიამოითხოვოსზიანისანაზღაურებარომელიცგანზრახანგაუფრთხილებლობითიგანხორციელებულიქმედებისგამოანსხვაგვარადპასუხისმგებელი აზიანისანაზრაურებისათვის

2.პირი პასუხისმგებელია მიყენებული ზიანისათვის, გამონაკლის შემთხვევაშიც, როდესაც ზიანი არ არის გამოწვეული მისი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედებით.

[31]რამდენიმე მოსაზრება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე- ლ. ჭანტურია
[32]ევროპულ მოდელურ კოდექსი(DCFR – Draft Common Frame of Refference)

აღნიშნული მუხლი უფრო სრულყოფილია ვიდრე ჩვენი 992-ე მუხლი, რადგან გარდა ბრალეული (განზრახ/გაუფრთხილებელი) მოქმედებით მიყენებული ზიანისა, იგი ითვალისწინებს ასევე სხვა შემთხვევებს, როცა პირი პასუხისმგებელია ზიანის ანაზღაურებისათვის, ასეთ სხვა შემთხვევებში იგულისხმება ისეთი დელიქტები, როცა ბრალისა და მართლწინააღმდეგობის არსებობა არ არის საჭირო

სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ მხარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებილება, უტყუარად უნდა დასტურდებოდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), შედეგი - ზიანი და მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ნორმის შემადგენელ აღნშნულ ელემენტთაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია, ამასთან, ზიანის არსებობის ფაქტისა და ამ ზიანის სწორედ მოპასუხის ქმედებით გამოწვევის მტკიცების ტვირთი პროცესუალურად ეკისრება მოსარჩელეს.[34]

როგორცზემოთაღვნიშნე, დელიქტურ სამართალში ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ემუხლი. ეს მუხლი ადგენს იმ ოთხ პირობას, რომელთა არსებობაც სავალდებულოა ზიანის მიმყენებლის (დამზიანებლის) პასუხისმგებლობისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და კერძო სამართლის სხვა კანონები ზიანის ლეგალურ დეფინიციას არ იძლევიან. მისი განმარტება სასამართლო გადაწყვეტილებებში და აკადემიურ ნაშრომებში გვხვდება. ვერც სასამართლო და ვერც იურიდიული დოქტრინა უნივერსალური პასუხის გაცემას ვერ ახერხებს.[35]

,,ზიანი“ სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება.

[34]BLH – BUSINESS & LEGAL HUB - დელიქტურისამართალი - ზიანისანაზღაურება. 2014წ.

[35]ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია - სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, გამომცემლობა ,,მერიდიანი“ , თბ. 2014წ

ზიანი სამოქალაქო სამართალში შეიძლება წარმოიშვას, ერთი მხრივ, ერთ-ერთი მხარის ვალდებულების შეუსრულებლობით, მეორე მხრივ კი, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები ზიანის მიყენებამდე არ იმყოფებოდნენ ვალდებულებით ურთიერთობაში.
მართალია 992-ე მუხლში მოქმედებით მიყენებულ ზიანზეა მითითებული, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ზიანი მხოლოდ აქტიური მოქმედებით შეიძლება მიეყენოს. ზიანი შეიძლება უმოქმედობითაც იყოს გამოწვეული. განსხვავებით მოქმედებისაგან , უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგოდ ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მოქმედებისგან ხორციელება შედიოდა ზიანის მიმყენებლის ვალდებულებაში.

ზიანი შეიძლება მიეყენოს პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან პირიქით ქონებას. სამართალ დარღვევის მატერიალური (ეკონომიკური) შედეგი (ქონების შემცირება), რომელსაც აქვს ღირებულებითი ფორმა, სამოქალაქო სამართალში იწოდება ქონებრივ ზიანად. [36]

სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციის (ზიანის ანაზღაურების) დაკისრება მცდელობისათვის, ან მხოლოდ კონკრეტული ქმედების ჩადენისათვის ამ ქმედების რეალური უარყოფოთი შედეგის არსებობის გარეშე, გამორიცხულია. მაგალითად, თუ პირი გადაწყვეტს სხვა პირის კუთვნილი საუკეთესო არაბული ცხენის მოწამვლას, მაგრამ ცხენიმის მიერ მიწოდებულ მოწამლულ შაქარს პირს არ დააკარებს, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება არ მოხდება ზიანის ფაქტის არარსებობის გამო. ცხადია, სხვა საკითხია, იარსებებს თუ არა ამ პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები და დაეკისრება თუ არა მას, სისხლის სამართლებრივი ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სანქცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმართებით, ,,მტკიცების ტვირთი ობიექტურად და სამართლიანად განაწილების პირობებში, როგორც ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) ოდენობის და მტკიცების ტვირთი მოსარჩელის (კრედიტორის) მხარეზეა. ამასთან, ზიანი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური დამოკიდებულობით.

[36] ლ. ჭანტურია - საქართველოსსამოქალაქოკოდექსისკომენტარი, წიგნიმეოთხე, ვალდებულებითისამართალი, კერძონაწილი, ტომი II , გამომცემლობა ,,სამართალი", თბილისი 2001წ. გვ. 378.

ზიანი გამოწვეულია როგორც სახელშეკრლებო ვალდებულების დარღვევით ასევე დელიქტური ქმედების ჩადენით. ვინაიდან განხილულ იქნა უკვე ზიანის ანაზღაურების წესი შესაძლებელია უკვე უშუალოდ არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესზე გაგრძელდეს საუბარი.

2.3**არასრულწლოვნის ზიანის გამომწვევი ქმედების ანაზღაურება ქართული კანონდმებლობის მიხედვით**

თუ ვისაუბრებთ საქართველოს მაგალითზე არასრულწლოვნის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ, პირველ რიგში უნდა შევეხოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის [37] 994-ე მუხლს, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვნის პასუხისმგებლობას მიყენებული ზიანისათვის.

სამოქალაქო [38] სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ქმედუნარიან პირს(არასრულწლოვანს) , რომელსაც თავისი მოქმედებით შეუძლია შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები, იკისროს სამოქალაქო მოვალეობების შესრულება და პასუხისმგებლობა საკუთარი ქმედების შედეგებისათვის. კანონით დადგენილია, რომ პირი ქმედუნარიანობას იძენს 18 წლის (სრულწლოვანების) მიღწევის მომენტიდან. თუმცა, გამონაკლის შემთხვევში პირი იძენს ქმედუნარიანობას სრულწლოვანების მიღწევამდეც. ეს შემთხვევებია : დაქორწინება და იმანსიპაცია. სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მიხედვით, შვიდ წლამდე ასაკის არასწულწლოვანი ქმედუუნაროა, ხოლო 7-18 წლამდე არასრულწლოვანი- შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე. არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხს კანონი განსხვავებულად წყვეტს იმის

[37]სსკ-994 მუხლი

[38]ლ.ჭანტურია სამოქალაქო კოდექსის კომენტარები მუხლი 12 გვერდი 62

მიხედვით, თუ რა ასაკის მქონე პირის მიერაა ზიანი მიყენებული: 10 წლის ასაკს მიუღწეველი , თუ ათიდან -18 წლამდე ასაკის მქონე პირის მიერ.

ათი წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანი პასუხს არ აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა.აღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ათ წლამდე ასაკის არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას კანონი მშობლებს ან მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს აკისრებს.მშობლების გარდა მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები შეიძლება იყვნენ მეურვე (მზრუნველი, თუ ბავში 7წელზე მეტი ასაკისაა), საბავშვო სახლები და სხვა ანალოგიური დაწესებულებები, რომლებიც ვალდებულნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ბავშებს.[39] მშობლები და მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები ზიანისათვის დამოუკიდებლად აგებენ პასუხს და არა სხვისი ბრალისათვის, მაგრამ მხოლოდ იმ ზიანისთვის, რომელიც 10 წლის ასაკის მიუღწეველმა პირმა მართლსაწინააღმდეგო ზარალი მიაყენა სხვას. ამასთან, მშობლების და მეურვის (მზრუნველის) პასუხისმგებლობის პირობები უფრო ფართოა, ვიდრე მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირებისა. მშობლის და მეურვის (მზრუნველის) ბრალი გამოიხატება როგორც იმაში, რომ მათ ზედამხედველობის გარეშე დატოვეს ბავში ზიანის მიყენების მომენტში, ასევე შვილების (სამეურვეო პირების) ცუდად აღზრდაში, რასაც მოჰყვა ბავშის ისეთი ქცევა , რომელმაც ზიანი მიაყენა სხვას. მიუხედავად იმისა, მშობლები ერთად ცხოვრობენ თუ არა, არასრულწლოვანებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ორივე მშობელს, რადგანაც როგორც ერთი, ისე მეორე ატარებს ვალდებულებას მათი ბავშის მიმართ.მშობლები პასუხს აგებენ თანაბარი წილობრივი მონაწილეობის პრინციპით.თუმცა, მშობელი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, თუ მეორე მშობლის ბრალით იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას მიეღო მონაწილეობა ბავშის აღზრდაში. მშობელი, რომელსაც მშობლის უფლება ჩამოერთვა,აღარ მონაწილეობს შვილის აღზრდაში. ამიტომ მას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ბავშის მიერ ზიანის მიყენებისათვის.მეთვალყურეობაზე სხვა პირების ბრალი კი გამოიხატება ზიანის მიყენების მომენტში ბავშვისთვის ზედამხედველობის გაწევის მიუღწევლოვაში, (მიზანშეწონილი იქნება ზოგიერთი დაწესებულების, მაგალითად საბავშვო

[39]ლ.ჭანტურია სამოქალაქო კოდექსის კომენტარები წიგნი 4 გვერდი 361

სახლის, რომელშიც ბავშვი იზრდება, პასუხისმგებლობის პირობები გაუთანაბრდეს მშობლის ან მეურვის პასუხისმგებლობის პირობებს). [40] შესაძლოა თანაპასუხისმგებლობა კანონიერი წარმომადგენლების ადა იმ პირებისა, რომლებიც ახოციელებენ ზედამხედველობას ბავშზე, რათქმაუნდა თუ დამტკიცდება, რომ ზიანის მიყენებას ადგილი ჰქონდა როგორც კანონიერი წარმომადგენლის ბრალით, ისე იმ პირთა ბრალით, რომლებიც ახორციელებდნენ ზედამხედველობას მასზე. ამ შემთხვევაში წილობრივი პასუხისმგებლობის პრინციპით თითოეულის ბრალის გათვალისწინებით.

სხვა საწყისებზეა აგებული პასუხისმგებლობა 10-18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისათვის. [41] 10 წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი პირი პასუხს აგებს იმ ზიანისთვის, რომელიც მან სხვას მიაყენა.კანონი ითვალისწინებს არასრულწლოვანის ქონებრივ მდგომარეობას და ადგენს, რომ თუ მას არა აქვს სამკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებითი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგელებსაც.კანონიერი წარმომადგენელი პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე მხოლოდ ზიანის იმ ნაწილში, რომლის ანაზღაურებაც არასრულწლოვანს არ შეუძლია თავისი ქონებით ან შემოსავლით.ეს კი იმას ნიშნავს, რომ კანონიერი წარმომადგენლების დამატებითი (სუბსიდიური) პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიაის მთლიანად (როცა არასრულწლოვანს საერთ`დ არ შეუძლია ზიანის ანაზღაურება) ან ნაწილის (როცა არრასრულწლოვანის ქონება ან შემოსავალი არ არის საკმარისი ანაზღაურებისათვის) ანაზღაურებაში.

მივდივართ კითხვასთან, თუ არასრუწლოვანი 18 წლამდე დაქორწინდება, ხდება თუარა იგი დამოუკიდებელი და მის მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელი ერთადერთი სუბიექტი?

სსკ-ს 994-ე მუხლის მე-3 პუნქტი ყურადღებას ამავილებს ასაკზე.[42] მაგრამ ამ შემთხვევაში იგი სრულად აგებს პასუხს მიყენებული ზიანისთვის.კანონიერ წარმომადგენლებს სუბსიდიური პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ.რაც შეეხება 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ

[40]ლ.ჭანტურია სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი 4 გვერდი 362

[41]ბესარიონ ზოიძე/თამარ კორძაია სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ზოგადი ნაწილი ბოლო დამუშავება: 24 მარტი, 2016 კომენტარისვერსია 28/01/2016

[42]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994-წ მუხლის მე-3 პუნქტი.

ემანსიპირებული პირი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის სფეროს ურთიერთობებში, შესაბამისად თავად აგებს პასუხს.კანონიერი წარმომადგენლის სუბსიდიური პასუხისმგებლობის პრინციპი არც ამ შემთხვევაში გამოიყენება.

არასრულწლოვანი [43] და მისი წარმომადგენელი არ არიან სავალდებულო მოვალეები.დაზარალებულს არ შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს ზიანის გამომწვევის წარმომადგენელს თვით ზიანის ჩამდენის გვერდის ავლით.

დამატებითი პასუხისმგებლობა შეწყდება ზიანის მიმყენებლის სრულწლოვანების მიღწევიდან,თუ არასრულწლოვანს სრულწლოვნების ასაკამდე გაუჩნდა ქონება,რომელიც საკმარისია ზიანის ასანაზღაურებლად.

ზიანის ცნებიდან და მისი ანაზღაურების წესის განხილვიდან გამომდინარე უკვე გაიმიჯნა,თუ რა განსხვავებაა არასრულწლოვნისა და სრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში. თუ სრულწლოვნის შემთხვევაში იგი თვითონ არის პასუხისმგებელი მისივე მიყენებულ ზიანის ანაზღაურებაზე, არასრულწლოვნის შემთხვევაში მშობელმა,ზედამხედველმა შეიძლება სუბსიდიულად გაინაწიონ პასუხისმგბელობა. სრულწლოვნების შემთხვევაში არავის ეკისრება ვალდებულება იმის გამო რომ ვერ მიაქცია ყურადღება მის ქცევას, განსხვავებით არასრულწლოვნის სემტხვევაში როდესაც მის ზედამხედველს სუბსიდიარულად ეკისრება პასუხისმგბელობა მსობელთან ერთად ,რომელსაც უნდა ესწავლებინა მისი შვილისთვის გარკვეული ქმედების გამომწვევ შედეგებზე. განხილული დელიქტური პასუხისმგებლობისგან განსხვავებით კიდევ არსებობს არასრულწლოვნების მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების ნორმები. ეს კი სახელსეკრულებო პასუხისმგებლობას ეხება . საინტერესოა რა საერთო ან განსხვავება შეიძლება ქონდეს არასრულწლოვნის დელიქტურ და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას.

[43]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994-წ მუხლის მე-3 პუნქტი. გვ,395

თავი III არასრულწლოვნის სახელშეკრულებო პასუხიმსგებლობის შედარებითი ანალიზი დელიქტურ პასუხიმგებლობასთან

3.1 არასრულწლოვნის მიერ დადებული ხელშეკრულება

არასრულწლოვანს (7-დან 18 წლამდე), მცირეწლოვნისაგან (7 წლამდეპირები) განსხვავებით, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო ბრუნვაში, მას შეუძლია დადოს ხელშეკრულება. მაგრამ ეს არ უნდა აღმოჩნდეს მისთვის ზიანის მომტანი. [44]

არასრულწლოვნის თავისუფალი მოქმედების ფარგლები [45] იზღუდება იმ მიზნით, რომ ის დაცული იქნეს იმ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებისაგან, რომლებიც მის მიერ ხელშეკრულების დადებას შეიძლება მოჰყვეს. სწორედ ამიტომ ითვალისწინებს კანონმდებელი, ცალკეულ შემთხვევაში, არასრულწლოვნის მიერ გარიგების დადებისათვის მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არსებობას.

არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან მშობლები. მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვან ბავშვს კი უწესდება მზრუნველი.

არასრულწლოვნის მიერ დადებული ხელშეკრულებები პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: როდესაც არასრულწლოვანი ხელშეკრულებიდან იღებს სამართლებრივ სარგებელს და როდესაც ის ასეთ სარგებელს არიღებს.

სამართლებრივად წამგებიანი იქნება ხელშეკრულება, თუკი მისგან არასრულწლოვანს რაიმე ვალდებულება ეკისრება, ხოლო სამართლებრივი სარგებლის შემცველია ისეთი

[44] 1ჭანტურია, სამოქალაქოკოდექსისონლაინკომენტარი, gccc.ge, 3.11.2015, მუხ. 63, ველი 1.
[45] http://teen.court.ge/?news=79

ხელშეკრულება, რომელიც არასრულწლოვანს მხოლოდ მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ესე იგი სამართლებრივად სარგებლის მომტანად მიიჩნევა ისეთი გარიგებები, რომლებიც არასრულწლოვნის სამართლებრივ მდგომარეობას აუმჯობესებენ, მაგალითად, უფლების შეძენა, არასრულწლოვნისათვის რაიმეს ჩუქებადა ა.შ. ხოლო ნასყიდობას, ქირავნობას, და სხვა მსგავს ხელშეკრულებებს მარტო სამართლებრივი სარგებელი კი არ მოაქვს არასრულწლოვანისათვის, არამედ ვალდებულებებსაც აკისრებს მას. [46] მაგალითად ქირავნობის დროს წარმოიშობა ქირის გადახდის ვალდებულება, ნასყიდობის დროს - ნასყიდობის ფასის გადახდის ვალდებულება და ა.შ.

თუ არასრულწლოვანი მის მიერ დადებული ხელშეკრულებიდან იღებს სამართლებრივ სარგებელს, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის (ნამდვილი ხელშეკრულება იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულებაა), ესეიგი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომისათვის, საჭირო არ არის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ხოლო, არასრულწლოვნის მიერ ისეთი ხელშეკრულების დადება, რომლითაც ის სამართლებრივ სარგებელს არ იღებს, მოითხოვს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას. თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებული იქნება იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას. თუ კანონიერი წარმომადგენელი არ დაეთანხმება (არმოიწონებს) არასრულწლოვნის მიერ დადებულ ხელშეკრულებას, მაშინ ასეთი ხელშეკრულება იქნება ბათილი და შესაბამისად, არ წარმოშობს იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის დადგომის მიზნითაც დადეს მხარეებმა ხელშეკრულება.

ასეთ გარიგებებს მერყევად ბათილს უწოდებენ, ვინაიდან თანხმობაზეა დამოკიდებული მისი ნამდვილობა და არსებობს იმისი შესაძლებლობა, ეს გარიგება მოიწონოს კანონიერმა წარმომადგენელმა. მართალია, თანხმობის გარეშე იგი ბათილია, მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლება მისი მოწონება. ეს გარემოება მას მერყევად ბათილს ხდის, ვინაიდან ბათილობა ჯერ კიდევ

[46] 2ჭანტურია, სამოქალაქოკოდექსისონლაინკომენტარი, gccc.ge, 3.11.2015, მუხ. 63, ველი 7

არაა საბოლოო. მერყევი მდგომარეობა ისპობა მისი მოწონების, ან მოწონებაზე უარის თქმით. მოწონებით ბათილი გარიგება (ბათილია გარიგება, თუ ის არ იწვევს გარიგების მონაწილეების მიერ დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას) იქცევა ნამდვილ გარიგებად. მაგრამ თუ კანონიერი წარმომადგენელი არ გასცემს თანხმობას (არმოიწონებს), მაშინ გარიგება ბათილი იქნება დადების მომენტიდან. [47]

ვიდრე არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი მოიწონებდეს არასრულწლოვნის მიერ დადებულ ხელშეკრულებას, მეორე მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე. თუ მეორე მხარემ იცოდა პირის არასრულწლოვანების შესახებ, მაშინ მას უარის თქმა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანი მას ატყუებდა, რომ წარმომადგენლისაგან მიღებული აქვს თანხმობა.

თუ არასრულწლოვანი გახდება სრულწლოვანი, მაშინ იგი თვითონ გადაწყვეტს საკითხს თავის მიერ დადებული ხელშეკრულების ნამდვილობის შესახებ.

საქართველოს კანონმდებლობა არასრულწლოვნების მიმართ ლმობიერია და მათ რიგ პრიორიტეტებს აძლევთ. განხილულ ქვეთავში კარგად გამოჩნდა თუ რა საერთო აქვს სახელშეკრულებო და დელიქტურ პასუხისმგებლობას. ორივე მათგანი აწესებს რომ ვალდებულება არასრულწლოვანს არ უნდა დაეკისროს. მაგრამ განსხვაბეაც არის სახელსეკრულებო პასუხისმგებლობა უფრო უპირატეს მდგომარეობასი აყენებს არასრულწლოვანს და ნამდვილად თვლის მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას. საინტერესო იქნება განვსაზღვროთ კიდევ რა განსხვავება იქნება უკვე ქმედუნარიან - ანუ ემანსიპირებულ არასრულწლოვნის პასუხისმგებლობასთან მიმართებაში.

[47] ჭანტურია, სამოქალაქოკოდექსისონლაინკომენტარი, gccc.ge, 3.11.2015, მუხ. 63, ველი 5.

3.2 ემანსიპირებული არასრულწლოვნის მიერ სამოქალაქო ხელშეკრულების დადება

მართალია, არასრულწლოვანი პირის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებული გარიგებები ბათილად არის აღიარებული (63-ე მუხლი), მაგრამ სამოქალაქო კოდექსი მოწყდებოდა ცხოვრებისეულ რეალობას, თუკი ამ კატეგორიის პირებს, რომელთა ასაკი მერყეობს 7-დან 18 წლამდე,[48] საერთოდ აუკრძალავდა სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობას. კანონიერი წარმომადგენლის კონტროლის ქვეშ არასრულწლოვანთა მიერ სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის უზრუნველყოფას ემსახურება 65-ე მუხლი, რომელიც რამდენიმე კომპრომისულ და ცხოვრებისეული რეალობის შესატყვის რეგულირებებს შეიცავს. ერთ შემთხვევაში არასრულწლოვანს აქვს მისთვის კანონიერი წარმომადგენლის მიერ გადაცემული საშუალებების განკარგვის უფლება (65 I მუხლი), ხოლო მეორე შემთხვევაში - საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლება ანიჭებს მას სრულ ქმედუნარიანობას. 65-ე მუხლის რეგულირებით კანონმდებელი აღწევს ბალანსს სამოქალაქო ბრუნვაში არასრულწლოვანის მონაწილეობასა და კანონიერი წარმომადგენლის მიერ მასზე კონტროლის განხორციელებას შორის.

65 I მუხლი აწესრიგებს არასრულწლოვანი პირის მიერ იმ გარიგებათა დადებას, რომელთა შესასრულებლადაც მან განკარგა კანონიერი წარმომადგენლის ან მესამე პირისაგან მიღებული საშუალებები. ნორმა განამტკიცებს არასრულწლოვანის მიერ ე.წ. „ჯიბის ფულის“ განკარგვის უფლებამოსილებას.[49] ამავე მუხლის გამოყენების წინაპირობა არის არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად იმ საშუალებების განკარგვა, რომლებიც მან კანონიერი წარმომადგენლის ან მესამე პირისაგან მიიღო.

გადაცემულ საშუალებებად მიიჩნევა ნებისმიერი ქონებრივი ფასეულობები, პირველ რიგში, ფულადი სახსრები - ნაღდი ფული.[50]თუ არასრულწლოვანს მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით გახსნილი აქვს საბანკო ანგარიში და ფლობს ელექტრონული ანგარიშსწორების ბარათი, სავარაუდოა, რომ მას კანონიერი წარმომადგენლის მიერ აქვს გადაცემული ეს სახსრები განსაკარგავად. თანხის გადაცემისას არ არის სავალდებულო მისი გამოყენების კონკრეტული მიზნების მითითება. ყოველ შემთხვევაში ამან შეიძლება არ მოახდინოს გავლენა

[48] ლადო ჭანტურია სამოქალაქო კოდექსის კომენტარი მუხლი 65
[49] ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 65, გვ. 207.
[50] 7 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 65, გვ. 208.

გარიგების ნამდვილობაზე. გარიგების დასადებად მას სჭირდება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ამის თავიდან ასაცილებლად 65 II და III მუხლები ითვალისწინებენ არასრულწლოვანის ემანსიპაციის (სრულწლოვანებთან უფლებრივი გათანასწორება) შესაძლებლობას, თუკი თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულიპირს კანონიერი წარმომადგენელი საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლს უფლებას ანიჭებს. შეუზღუდავი ქმედუნარიანობა, [51] რომელსაც არასრულწლოვანი მოიპოვებს, ეხება მისი სამეწარმეო საქმიანობის სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებს. ამრიგად, საუბარია ე.წ. ნაწილობრივ ქმედუნარიანობაზე. [52]

16 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი ქმედუნარიანი ხდება სამეწარმეო საქმიანობის სფეროში და აქედან გამომდინარე ვალდებულებებზე მისი პასუხისმგებლობა ამ სფეროში არის შეუზღუდავი. ქმედუნარიანობის შინაარსი მოიცავს უფლებას დადოს და შეწყვიტოს შრომის ხელშეკრულებები საწარმოს თანამშრომლებთან, შეიძინოს და გაასხვისოს ნედლეული, წარმოებული პროდუქცია და ა.შ. ქმედუნარიანობა მოიცავს ასევე საპროცესო უფლებაუნარიანობას. ამ ურთიერთობების გარეთ ის ჩვეულებრივად შეზღუდულად ქმედუნარიანობსი მქონედ რჩება.[53] არასრულწლოვანისათვის საწარმოს გაძღოლის სფეროში მინიჭებული ნაწილობრივი ქმედუნარიანობის ფარგლებში კანონიერი წარმომადგენელი კარგავს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს, რაც ეხება ასევე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების განკარგვასაც.[54]

აღნიშნული საკითხის განხილვით კიდევ თვალსაჩინო გახდა თუ როგორ პრიორიტეტულ მდგომარეობასი აყენებს კანონმდებლობა არასრულწლოვნებს.თუ შეზღუდულ ქმედუნანარიან არასრულწლოვნებს შეეძლოთ ხელშეკრულების დადება, მაგრამ ეს მოწონებული უნდა ყოფილიყო მშობლის მიერ , ემანსიპირებულ არასრულწლოვნებს უკვე ვხედავთ რა რიგი უფლებები მოემატა, მაგრამ ეს არ არის სრულყოფილი რათა დაიხვეწოს არასრულწლოვანთა კუთხით კანონმდელობა. ის მცირედი მონაკვეთები რაც სამოქალაქო კოდექსში არასრულწლოვნებს აქვთ დათმობილი არაა საკმარისი. საჭიროა უფრო ფართოდ ჩამოყალიბდეს ხედვა მათდამი. ასევე განვითარდეს სასამართლო პრაქტიკა მათ მიმართ გახდეს ისეთი სრულყოფილი როგორიც უცხოეთშია. მაგალითისთვის შემდეგ თავებში განხილული იქნება არასრულწლოვანთან პასუხისმგებლობა როგორია ანგლო ამერიკულ და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში.

[51] ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 65, გვ. 209.

[52] შდრ. Jauernig, BGB, 14. Aufl., 2011, § 112, Rn. 1.

[53] ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 65, გვ. 209.

[54] შდრ. Wendtland, in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 112 Rn. 8

თავი IV არასრულწლოვნის სამოქალაქო პასუხისმგებლობა ანგლო-ამერიკული სამართლის მიხედვით

4.1 ზიანის ანაზღაურება ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში

994-ე მუხლის მიხედვით, ათი წლის ასაკის მიუღწეველი პირი, როგორც არასრულწლოვანი, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე, პასუხსარაგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა.თუმცა, მის ნაცვლად, მისი მშობლები ან მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები მოვალენი არიან აანაზღაურონ ამ პირის მიერ მიყენებული ზიანი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უკვე 10 წლის ასაკიდან პირი დელიქტუნარიანია და პასუხსაგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ამის გაცნობიერება არ შეეძლო. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად საკმარისი არაა, დგება სუბსიდიური პასუხისმგებლობა და იგი ეკისრებათ მის კანონიერ წარმომადგენლებს (994-ემუხლისმე-2 ნაწილი).

4.1.1საერთო სამართლის დებულებანი-დელიქტური პასუხისმგებლობა (ანგლო-ამერიკული სამართალი)

ქართული კანონმდებლობის განხილვის სემდგე საინტერესოა როგორ ხდება არასრულწლოვნისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება უცხოურ ქვეყანაში. მაგალითად ანდგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნის ლიტერატურა არასრულწლოვნის პასუხისმგებლობაზე მიუთითებს შემდგომს,რომ შვიდ წლამდე ასაკის ბავშვის დელიქტური

პასუხისმგებლობა შეუძლებელია მიჩნეულ იქნას როგორც culpaeincapax[55]და ვერ აგებს პასუხს დელიქტისთვის მისი ბრალის გამო, რადგან ამ ასაკის ადამიანს არ შეუძლია იმოქმედოს გაუფრთხლიებლობით ან განზრახ.[56] როდესაც არასრულწლოვანი ჩადის ზიანის გამომწვევ ქმედებას, დაზარალებულს იმისთვის რომ მიიღოს კომპენსაცია ზიანისთვის, არ შეუძლია სარჩელი შეიტანოს 7 წელს ქვემოთ მყოფი ასაკის არასრულწლოვნის წინააღნდეგ, რომელიც დაუდევრობით მოქმედებდა.თუმცა არასრულწლოვანს შესაძლოა მის ქმედებასთან დაკავშირებით დაეკისროს პასუხისმგებლობა,იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალი არარის აუცილებელი პირობა დელიქტური პასუხისმგებლობისთვის.[57] 7 წლიდან მომწიფებულობის ასაკამდე პირთან დაკავშირებით, ბოლო დროს გაურკვეველი სიტუაციისა, არსებობს საეჭვო პრეზუმცია, რომ არასრულწლოვანი არის ‘culpaeincapax’ [58] და არა დელიქტურად პასუხისმგებელი.ასაკი, რომელშიც ეს საეჭვო პრეზუმცია სრულდება სადაოა და მსჯელობს სამართლებრივი პოზიციის განსხვავებულობაზე. ზოგ სასამართლო გადაწყვეტილებაში პრეზუმციას წარმოადგენს მომწიფების ასაკი, ამასთანავე სხვაგან გვხვდება, რომ სხვა განმარტებით ასაკი არის 14 წელი ბიჭებისა და გოგონებისთვის. საინტერესოა, რომ სისხლის სამართალში სასამართლოები მუდამ უთითებენ 14 წელზე და აქ არ ხდება ასაკის განსხვავება სქესის მიხედვით. [59] მომწიფების ასაკს გადამცდარი არასრულწლოვნები განიხილებიან როგორც ზრდასრულები და არიან ‘culpaecapax’ [60] პასუხისმგებლები თავიანთი დანაშაულებრივი ქმედებისთვის.

---

[55]Culpaeincapax- პრეზუმციამოდის რომაული სამართლიდან, პირი რომელიც საკუთარი განვითარებიდან გამომდინარე ქმედებისთვის არ არის პასუხისმგებელი.

[56]დებრუინმინისტრივანვერვოერის წინააღმდეგ1960 (3) SA 820 (O) 825

[57]ნიუენჰუიზენიგაერთიანებადანაციონალურიდაზღვევისწინააღმდეგ1962 (1) SA 760 (W) 761; ვანდევაიფერიდაჯუბერტი(1991)

[58]იხ. წინა სქოლიო

[59]ვანდერვაიფერი ‘ არასრულწლოვანთაკონსტიტუციური დაცვა’1997

[60]სამართლებრივად პასუხისმგებელი დანაშაულებრივი ქმედებისთვის.

დებულების პირველი ნაწილის მიხედვით არასრულწლოვანი არის პასუხისმგებელი (culpaecapax) თავისი არასწორიქმედებისთვის, თუმასაქვსმენტალურიშეფასების უნარი რომ გაარჩიოს სწორი და არასწორი და მოიქცეს ამ შეფასების უნარის გათვალისწინებით. აქვე დებულების მეორე ნაწილი პასუხისმგებლობის შემოწმებაზე საუბრობს,რომელიც ამბობს რომ

4.1.2 პასუხისმგებლობის შემოწმება

პასუხისმგებლობა არის აუცილებელი წინაპირობა ბრალისთვის, და არასრულწლოვანი უნდა იყოს პირველ რიგში პასუხისმგებელი მანამ, სანამ ბრალი შეიძლება ჩაითვალოს დელიქტურ შემთხვევაში. გამოცდილებამ საშუალება მისცა არასრულწლოვნის ბრალის ჩამოყალიბებას, როდესაც უწინ საპირისპიროდ ხდებოდა როცა, პასუხისმგებლობის შემოწმება, იყო ობიექტურად საფუძვლიანი. სასამართლო გადაწყვეტილებით **ჯოუნსი სანტამის წინააღმდეგ,**[61]ახალი მიდგომა ჩამოყალიბდა სააპელაციო პალატის მიერ. ამ ახალი მიდგომის გასწვრივ გაუფრთხილებლობის (ან განზრახვის) შემოწმება ყოველთვის ობიექტურია და მიზეზობრივი. სასამრთლომ დაადგინა, რომ პირველ რიგში უნდა იქნას გათვალისწინებული არასრულწლოვნის ქმედებები შეესაბამება თუარა ოჯახის უფროსის და ზრდასრული ადამიანის ქცევას. სასამართლომ უნდა გაარკვიოს არის თუარა არასრულწლოვანი ‘culpaecapax’.ახალი მიდგომა სუბიექტური იყო და დაიმსახურ აკრიტიკა:

მიზეზობრივად არასრულწლოვნის შემოწმება იყო უფრო რეალური, როდესაც იგი ზიანს აყენებს და პასუხისმგებელია მის დანაშაულზე. პრეტენზია ზიანის ანაზღაურებაზე უნდა იქნას გამოყოფილი, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მხარეთა ბრალის ხარისხი ზიანის გადანაწილების პროცესში. ტრადიციულ მიდგომაში დაშვებულ იქნა, რომ ზრდასრული პირის გაუფრთხილებლობითი ქმედება აუცილებლად არასრულწლოვნის გაუფრთხილებლობას არ გულისხმობდა. თუნდაც მძიმე გაუფრთხილებლობითი ქმედება არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი იქნებოდა ნაკლებად მძიმე, ხოლო იგივე ქმედება ზრდასრული პირის მიერ ჩადენილი განიხილებოდა განსხვავებულად. სასამართლოს შეეძლო ზრდასრულთა ბრალი შეემცირებინა 70%-მდე და არასრულწლოვნის ბრალი მხოლოდ 50%-მდე იმავე დანაშაულის

[61]ჯოუნსი სანტამის წინააღმდეგ 1962 (3) SA 826 (A)

დროს. ახალი მიდგომის ფარგლებში კი, ზარალის გადანაწილება იქნება ერთი და იგივე ზრდასრულებისა და არასრულწლოვნებისათვის.[62]

ახალი მიდგომის ჩამოყალიბება დიდი ნაბიჯი იყო არასრულწლოვნების მიდგომის საკითხში მაგრამ პასუხსიმგებლობის აღება მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ რჩებდა რაზეც კიდევრ ამდენიმე განმარტება გაკეთდა .

4.1.3 როგორ ხდება ე.წ. Culpae Incapax პრეზუმციის უკუგდება და ვინ იღებს საკუთარ თავზე გაუფრთხილებლობას?

პასუხისმგებლობა? პრეზუმცია 'culpaeincapax' შეიძლება იქნას უკუგდებული იმის დამტკიცებით, რომ არასრულწლოვანს შეუძლია განასხვაოს სწორი და არასწორი და იმოქმედოს ამ შეფასების სისტემით.

პასუხისმგებლობაეკისრებაპირსრომ [63] დაამტკიცოს პროპორციული ბალანსი რომ არასრულწლოვანი ნამდვილად პასუხისმგებელი იყო.დელიქტური პასუხისმგებლობის მოცულობის შემოწმება არის სუბიექტური, თუ დავეყრდნობით ფაქტებს, რაც განსაზღვრავს არის თუარა განვითარებული არასრულწლოვნის ემოციური და ინტელექტუალური შესაძლებლობა, მენტალური სიმწიფე და იმპულსების კონტროლის უნარი იმ დონეზე, რომ არასრულწლოვანს აქვს საკმარისი დისკრეცია განასხვაოს სწორი და არასწორი. ამისათვის საჭიროა მის გონებრივ სიმწიფეზე ვისაუბროთ,რომელიც არის დიდი მნიშნელობის რათა პასუხისმგებლობა ჩამოყალიბდეს, მაშინ როდესაც მომწიფებულობა, თავის მხრივ, ცოდნისა და

[62]ფერდინანდჰაინრიხჰერმანი - დელიქტური პასუხისმგებლობა და სისხლისსამართლისსამართლებრივიპროცედურა 2017

[63]ფერდინანდჰაინრიხჰერმანი - დელიქტური პასუხისმგებლობა და სისხლისსამართლისსამართლებრივიპროცედურა 2017

გამოცდილების საფუძველზე, ახდენს გარკვეული იმპულსების შეზღუდვას.ამ მხრივ სასამართლოები ითვალისწინებენ შემდეგ ფაქტორებს, რომლებიც შესაძლოა არც კი შეამოწმონ აბსტრაქტში მაგრამ ეს შემოწმდება არასრულწლოვნის სპეციფიურ გარემოებებში.

იმისათვის რომ პასუხსიმგბელობის სრულყოფილ გზასთან მივიდეთ გამოძიება უნდა იყოს დაკავშირებული გარკვეულ ქმედებასთან ან უმოქმედობასთან, რომელიც შემთხვევის ფორმირებას ახდენს (ზოგადად დელიქტის საპირისპიროდ). თუ არასრულწლოვანს აქვს ის გონებრივი განვითარება რომ განსაზღვროს საშიშროება (მაგალითად , ქუჩის გადაჭრის დროს საშიშროება) რომ თავიდან იქნას აცილებული რაიმე მოქმედება ან უმოქმედობა და აქვს ცოდნა იმისა თუ როგორ აიცილოს თავიდან იგი და არის შესაბამისად მომწიფებული და განვითარებული, ისე რომ აკონტროლოს თავისი არარაციონალური ან იმპულსური ქმედება, მაშინ შეიძლება ითქვას რომ არასრულწლოვანი პასუხისმგებელია საკუთარ ჩადენილ ქმედებაზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არასრულწლოვანი რომ პასუხისმგებლად ჩაითვალოს, მას უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა გონივრულად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, ვალდებულება ან სიფრთხილე უგულებელყოს. ეს შესაძლებლობა დიდი ხარისხით დამოკიდებულია ბუნებაზე და გონებასა და მომწიფებულობაზე.

4.1.4საერთო სამართლის დოქტრინაში დელიქტური პასუხისმგებლობის წინააღმდეგ კამათი

პრობლემები გამოვლინდა კრიმინალური შესაძლებლობების თვალსაზრისით, არასწულრლოვნებში საჭიროა ცვლილებები დელიქტურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. იყო შემთხვევა როცა მიუღებელი პრაქტიკა ჩამოყალიბდა პასუხისმგებლობის პრეზუმციის გაუქმების თაობაზე, სადაც სასამართლოები ეყრდნობოდნენ მტკიცებულებებს არასრულწლოვნის მშობლების შესაფერისობაზე მოზარდის გამოცდილებასთან, განათლებასა და გაკვეთილების სწავლაზე, ისე რომ დადგენილიყო იყო თუ არა მოზარდი ანგარიშვალდებული.

სასამართლოებმა არაერთხელ გამოხატეს თავიანთი მოსაზრება არასრულწლოვანთა ქცევის ნელ განვითარებაზე .თუ არასრულწლოვნის ანგარიშვალდებულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული არასრულწლოვნის განვითარების დონესთან, ვთანხმდებით, რომ ექსპერტთა მტკიცებულება სასამართლო პროცესზე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა იმაზე, თუ რამდენად მოწიფულია მოზარდი და არისთუარა შესაბამისად ჩამოყალიბებული რომ ცნობილ იქნას ანგარიშვალდებულად.

დელიქტურ სამართალში არასრულწლოვანს არ აქვს შესაფერისი დაცვა ანგარიშვალდებულებაზე, ისე როგორც სისხლის სამართალში, სადაც მინიმალური პასუხისმგებლობის ასაკი არის 10 წელი, სასამართლოები არ ანიჭებენ ღირებულებას არასრულწლოვნის ფაქტობრივ შემეცნებით უნარებს, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების მიღება არასრულწლოვანთა ჩართვით გადამწყვეტი მნიშნელობისაა.

საერთო სამართლის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ არასრულწლოვანთა დელიქტურ პასუხისმგებლობას უცვლელი რჩება და არასრულწლოვანი ივარაუდება რომ არის ე.წ. culpaeincapax, ანუ არა პასუხისმგებელი საკუთარ ქმედებაზე 7 წლის ასაკიდან მომწიფებულობამდე. [64] ამის დასადასტურებლად განხილული იქნება რამოდენიმე სასამართლო პრაქტიკა რომელიც არასრულწლოვანს გაუფრთხილებლობას შეეხება სადაც მას პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

4.2 ზიანის ანაზღაურების წესი აშშ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით.

4.2.1.1მაკჰოლი ვოტსონის წინააღმდეგ

[65] მაკჰოლი, ვოტსონი (არასრულწლოვნები) და კიდევ ერთი არასრულწლოვანი გოგონა თამაშობდნენ დადევნებას. ვოტსონი 12 წლის იყო იმ დროისთვის. თამაშის დასასრულს მან დააგდო ბასრი მეტალის ჩხირი ხის ნაწილზე, რომელმაც აისხლიტა დამოხვდა მაკჰოლს თვალში.მომხდარმა გამოიწვია მუდმივი დაბრმავება.მაკჰოლმა სარჩელი შეიტანა ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც წარუმატებელი აღმოჩნდა პირველ ინსტანციაში და ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა.

სასამართლომ ამ საქმეზე დაადგინა, რომ ვოტსონს არ ქონია მიზანი მაკჰოლი დაეზიანებინა.შესაბამისად მისი ქმედება გამოწვეული იყო გაუფრთხილებლობით, რადგან იგი მხოლოდ 12 წლის მოზარდი იყო და წინასწარ ვერ განსაზღვრავდა თუ მისი მოქმედება რა შედეგს გამოიღებდა.

ედუარდ მაკ ტიერნანმა (მოსამართლე) უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ არასრულწლოვანი ვოტსონი მოქმედებდა ისე, როგორც ყველა ნორმალური 12 წლის ბიჭი მოიქცეოდა და მისთვის მოსალოდნელი არ იქნებოდა ჰქონოდა რისკის აღქმის უნარი ისე, როგორც ზრდასრულ ადამიანს ექნებოდა.ეს ქმედება არ იყო განზრახ მაკჰოლის დაზარალებისკენ მიმართული.მოსამართლემ განაცხადა, რომ ‘გონივრულ’ 12 წლის ბიჭს არ ექნებოდა მოლოდინი იმისა, რომ მისი ქმედება ამ შედეგს გამოიწვევდა.

დუგლას მენზისმა(მეორე მოსამართლე) საკუთარ განსხვავებულ მოსაზრებაში მიიჩნია, რომ დაუდევრობა არის სუბიექტური სტანდარტი და ამიტომ გასაჩივრების უფლება უნდა ყოფილიყო დაშვებული.მაშინაცკითუ სტანდარტი ვოტსონზე ამ შემთხვევაში იქნებოდა ‘გონივრული ბიჭი’, მოსამართლე მენზისი მაინც მიიჩნევდა, რომ ვოტსონმა გულგრილობა და

[65]MCHALL VS WATSON CHA (1966) 115 CLT199 7 MARCH

გაუფრთხილებლობა გამოიჩინა ამ სიტუაციაში,რაც იმის მანიშნებელია რომ სასამართლო ისევ მის მომწიფებულობის საკითხს უბრუნდება. მაგრამ ძალიან ძნელი დასადგენი იქნება ექსპერტისთვის რაოდენ განვიტარებულია არასრულწლოვნის გონება და რისი განჭვრეტა შეუძლია მას.

4.2.1.2ტერნეტი-ბუშერის წინააღმდეგ (ლუიზიანა)

მოცემული შემთხვევა არის 1975 წელს მომხდარი, თუმცა ლუიზიანას კანონი, რომლითაც მოცემული ქეისი დარეგულირდა დღემდე ძალაშია. ეს სასამართლო პრაქტიკა ცხადწყოფს საერთო სამართლის ადრეულ განვითარებას არასრულწლოვანთა დელიქტური პასუხისმგებლობის კუთხით.

მოცემული ქეისის სარჩელში ზუსტ კითხვას წარმოადგენს ის რომ არის თუ არა არა ექვსი წლის არასრულწლოვანის მამა პასუხისმგებელი ზიანისთვის, რომელიც გამოიწვია მისი შვილის მიერ ერთ-ერთ მოსარჩელეზე ველოსიპედით ქუჩაში დაჯახებამ.ქმედება შეიძლება ყოფილიყო დაუდევრობით გამოწვეული, უყურადღებო, იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანი გამჭრიახი გონების.[66]

ლაურა ვალას ტერნერი, 62 წლის ქალბატონი გადაადგილდებოდა ქალაქ ნიუ ორლეანის ქუჩაში, როდესაც მას დაეჯახა ველოსიპედით 6 წლის გრეგორი ბუშერი.სასამართლოში შუამდგომლობით მოსარჩელემ განაცხადა, რომ არასრულწლოვანი მოქმედებდა გაუფრთილებლობით.არარის სადავო, რომ თუ ქცევის ჩვეულებრივი სტანდარტით გრიგორი ბუჩერის ქმედებები თავის ნაწილში დაუდევრობა იქნებოდა.თუმცა, მოსარჩელეებმა აღიარეს,

[66] Turner vs Bucher 308 So. 2d 270 (1975) No. 54887. Rehearing Denied February 24, 1975 *271 Lawrence D. Wiedemann, Wiedemann & Fransen, New Orleans, for plaintiffs-applicants.Wood Brown, III, Montgomery, Barnett, Brown & Read, New Orleans, for defendant-respondent.BARHAM, Justice.

რომ იურისპრუდენციის თანახმად, ექვსი წლის ასაკის მოზარდი არ შეიძლებოდა პასუხისმგებელი ყოფილიყო ბრალისათვის ან დაუდევრობისთვის.

სააპელაციო საჩივარზე მოსარჩელეებმა მხოლოდ მშობლელზე პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვეს, როგორც ბავშვის მიერ მიყენებული ზიანისთვის მამის პასუხისმგებლობის საფუძველი, რომელსაც ევალებოდა ბავშვზე ზედამხედველობა.სასამართლომ არ დაადგინა დაუმოუკიდებელი გაუფრთხილებლობა მამის მხრიდან.ვნახოთ იყო თუ არა იგი პასუხისმგებელი სამოქალაქო კოდექსის მუხლებით, რომლებიც მშობლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.ასეთია მუხლი 237 ლუიზიანას სამოქალაქო კოდექსში, რომელიც ითვალისწინებს, რომ :'' მამები და დედები პასუხს აგებენ თავიანთი შვილების მიერ ჩადენილ დანაშაულებებსა თუ კვაზი-დანაშაულზე". [67] მასთან დაკავშირებით ,მუხლი 2318 გვეუბნება: '' მამა, ან მისი გარდაცვალების შემდეგ დედა, პასუხისმგებელი არიან მათი არასრულწლოვანი ბავშვების მიერ გამოწვეულ ზიანზე, იგივე პასუხისმგებლობა ეხება არასრულწლოვანთა აღმზრდელებს."[68]

როდესაც კოდექსი შემოვიდა 1808 წელს მთავრობის პროექტის მიხედვით გათვალისწინებულ იქნა ფრანგული მეთოდი დელიქტურ პასუხისმგებლობაზე, მე-20 მუხლით:'' მამა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ დედა არის პასუხისმგებელი შვილის მიერ ჩადენილ დელიქტურ ქმედებაზე''.[69]

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ლუიზიანის სამართლებრივი ცხოვრების განვიტარებისთვის რადგან ამ გადაწყვეტილებამ პედაგოგებს საშუალება და შესაძლებლობა მისცა თავი დაეხსნათ თავიანთი მოსწავლეებისა და აღსაზრდელების პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისგან. და, რაც მთავარია, მშობლებს პირველად ეკისრებოდათ მკაცრი პასუხისმგებლობა მათი შვილების ქმედებებისთვის.

---

[67]ლუიზიანას სამოქალაქო კოდექსი, 237-ე მუხლი
[68]ლუიზიანას სამოქალაქო კოდექსი, 2318-ე მუხლი
[69]ნაპოლეონის კოდექსი 1800წ. მუხ.20

მოცემულ შემთხვევაში გადაწყდა, რომ მამა იყო პასუხისმგებელი ზიანზე მოსარჩელის წინაშე, რომელსაც მისმა არასრულწლოვანმა შვილმა გრეგორი ბუშერმა მიაყენა ზიანი, ლუიზიანას სამოქალაქო კოდექსის 2318-ე მუხლის მიხედვით. ხოლო ლუიზიანას კანონმდებლობის მიხედვით ზიანის ანაზღაურება დაეკისრა ციურიხის სადაზღვეო კომპანიას, როგორც მამის დამზღვევს.

ანგლო-ამერიკული პრაქტიკის განხილვის სემდეგ სადაც ნათლად ცანდა და საინტერესოც იყო ექსპერტის ცართვა არასრულწლოვნის მომწიფებულობის დონის დასამტკიცებლად ნამდვილად საინტერესო იყო,ასევე ის პრაქტიკა რაც გაუფრთხილებლობიტ ქმედებას მოყვება. აღნიშნულიდან ნათლად ჩანს,რომ 1808 წლის შემდგომ ლუიზინაში იგივე კანონმდებლობა მოქმდებეს რომლის მიხედვითაც ზედამხედველს უკვე აღარ ეკისრება სუბსიდიარული პასუხისგმგებლობა განსხვავებით საქართველოს კანონმდელობიდან,რომელიც ევროპული სამართლის ოჯახთან უფრო არის ახლო რომელთა საკანონმდებლო რეგულაციებიც შემდგომ თავშია განხილული.

თავი V არასრულწლოვნის სამოქალაქო პასუხიმგებლობა კონტინენტური სამართლის ქვეყნებში.

5.1 სამოქალაქო პასუხიმსგებლობა გერმანიაში

პასუხისმგებლობა ზიანისთვის,რომელიც ჩადენილია ბავშვების მიერ ან კონტროლირებადი პირის მიერ [70], აქვე უკვე ნათლად ჩანს,რომ არასრულწოვნების პასუხისგმებლობის მხრივ სამართლებრივად საქართველოს კანონმდებლობა უფრო ახლოს ევროპულ სამართალთან არის,რადგან როგორც გერმანიაში ისე საქართველოში ზედამხედველ პირსაც ეკისრება პასუხსიმგებლობა,როგორც გასაკონტროლირებელი პირის პასუხსიმგებლობისთვის განსხვავებით ამერიკის კანონმდებლობისგან.

მშობლები ანსხვა კანონით განსაზღვრული პირები, რომლებიც ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მზრუნველობა თოთხმეტწლამდე არასრულწლოვნებზე ანგარიშვალდებულნი არიან, როცაარასრულწლოვანმაპირმაგამოიწვიაზიანიმოქმედებით, რომელიციქნებოდაგანზრახიანგაუფრთხილებელიქმედება. პასუხისმგებელი ორგანო, რომელიც ვალდებულია პირის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია იურიდიულად შესაბამისად გამოწვეულ ზიანზე მესამე პირებთან, როდესაც:ზიანითგამოწვეულია პირადი სახის დაზიანება, რომელიც გამოწვეულია სხვა პირის დაზარალებითან ქონებრივი ზიანით.თუმცა, პირი არ არის პასუხისმგებელი ამ მუხლით ზიანის გამოწვევისთვის, თუ ეს პირი გვიჩვენებს, რომ ზიანის გამომწვევი პირის ზედამხედველობა იყო არადეფექტური.პირი ასევე არის პასუხისმგებელი იურიდიულად შესაბამის ზიანზე თუ პასუხისმგებლობა ზიანისთვის ბავშვისანზედამხედველისმიერ არის გამოწვეული.

არასამთავრობოსახელშეკრულებოკანონი, პასუხისმგებლობის დაცვას ისახავს მიზნად,იგი შექმნილია ზიანის ტიპების მითითებით და არა კონკრეტული ჯგუფების დაცვის საჭიროებაზე მითითებით. თუმცა არსებობს ამ მართმსაჯულების პრინციპის აღიარება. ერთია არაპირდაპირიდაუდევრობის მინიშნების დეფინიციაში რომლის ვალდებულებაა, მოაწესრიგოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ზრუნვის სტანდარტი, რომლის მიზანია დაზარალებული პირის დაცვა (ივარაუდება, რომ ეს დებულება იცავს დაუცველ ჯგუფს, რომლის წევრიც დაზარალებული პირია). დანარჩენი ნორმები უფრო მოქმედებენ სხვა მიმართულებით, ადამიანების დაცვით იმ კატეგორიებში რომლებიც განიხილებიან სრული

[70](DCFR)Draft Common Frame of Reference (DCFR) Outline Edition Principles, Defi nitions and Model Rules of European Private LawEdited by Christian von Bar, Eric Clive and Hans Schulte-Nölke and Hugh Beale, Johnny Herre, Jérôme Huet, Matthias Storme, Stephen Swann, Paul Varul, Anna Veneziano and Fryderyk Zollგვ.395

პასუხისმგებლობით მიყენებული ზიანისთვის, სადაც უსამართლო იქნებოდა ამგვარი ვალდებულების გამოვლენა. მოზარდები 7 წლამდე, ახალგაზრდა პირები 18 წლამდე და მენტალურად არაკომპეტენტური პირები არიან დაცული ამ მიმართულებით.

აქვე მცირე განსხვავებაა აღსაღნიშნი რადგან გერმანიის კანონმდებლობა უფლება აძლევს ზედამხედველს ამტკიცოს მისი პასუხისმგებლობიდან გამორიცხვა,ვინაიდან გერმანული კანონმდებლობის მიხედვით ზედამხედველს როცა არასრულწლოვანი ჩაიდენს რაიმე ზიანის მომტან ქმედებას შეუძლია ამტკიცოს მისი არადეფექტურობა.

ახლა კი განვიხილოთ ამ მუხლის პარალელი უცხო ქვეყნის სამოქალაქო კოდექსთან მიმართებით.მაგალითად მოვიყვან ირლანდიის სასამართლო გადაწყვეტილებას .

ზრდასრული პირისთვის [71]არასრულწლოვნის მოვლის ვალდებულების დაკისრების სტანდარტის წინააღმდეგ, სადაც იგი სრულწლოვანივით მოქმედებს, სასამართლო მიიჩნევს , რომ ჩვეული უსამართლობისა და ამ მიდგომის გაურკვევლობის გათვალისწინებით, არასრულწლოვნის დაუდევრობის განმსაზღვრელი ძირითადი კრიტერიუმების ამგვარი კვალიფიკაცია არ უნდა იქნას წარმოდგენილი სამართალში.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ არასრულწლოვანი მართავს მანქანას, რომელიც შესაძლოა მას წაყვანილი ყავს მესაკუთრის თანხმობის გარეშე, და არაკომპეტენტური მართვით დააზიანებს სხვა პირს, ეს კრიტერიუმები მას გაანთავისუფლებს გაუფრთხილებლობით ან დაუდევრობით მიყენებული ზიანისგან. პასუხი არის - არა, ყველა პრაქტიკული მიზნებისთვის. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონტექსტში უკვე შედგა შეთანხმება, რომ 16 წლის ასაკში არასრულწლოვნის დაუდევრობა უნდა განისაზღვროს ზრდასრულის შესაბამისი ზრუნვის სტანდარტით. ამ ასაკის არასრულწლოვანთათვის, რომლებიც მანქანას მართავენ, ასაკზე მითითება, გონება და გამოცდილება ძირითად შემთხვევაში არ იძლევა სიტუაციიდან

[71] REPORT ON THE LIABILITY IN TORT OF MINORS AND THE LIABILITY OF PARENTS FOR DAMAGE CAUSED BY MINORS IRELAND

გამოძრომის საშუალებას. სასამართლო მიიჩნევს,რომ მთლიანად საზოგადოებამ უნდა აიღოს დაზარალებულის კომპენსაციის პასუხისმგებლობა, ავტოსატრანსპორტო შემთხვევების ჩათვლით, სადაც არასრულწლოვანმა გამოიწვია ზიანი და მხოლოდ მისი ასაკის , გონებრივი განვითარებისა და გამოცდილების გამო იყოს თავისუფალი პასუხისმგებლობისგან. ამ მცირე რაოდენობის შემთხვევებში, რეკომენდირებულია მსგავსი პრობლემის გადასაწყვეტად მოუწოდა შეექმნათ ფონდი კომპენსაციისთვის, რომლის დაფინანსებაც მოხდება სახელმწიფოს მიერ.იმისათვის,რომ თავიდან იქნას აცილებული ამგვარი გაუგებრობა. მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით

ა) კომპენსანციის ფონდი დაკავშირებული იქნება მხოლოდ გზაზე მიყენებულ ზიანთან, სადაც ავტოსაგზაო შემთვევისას 16 წლამდე ასაკის პირი მართავდა ავტომობილს.

ბ) ფონდის მიერ დახმარება შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანი გაუფრთხილებლობაში იქნებოდა დამნაშავე ან პირიქით, ზრდასრულის მიერ დაცვის სტანდარტის შემოღების შემთხვევში არ იქნებოდა პასუხისმგებელი.

გ) თუ არასრულწლოვნის მოპირისპირე მხარე სასამართლო პროცესზე იქნებოდა პასუხისმგებელი ზიანისთვის, იგი გადაუხდიდა დაზარალებულს კომპენსაციას.[72]

აღნიშნული საინტერესო პრაქტიკა საინტერესო იყო იმ ფაქტით ,რომ მოსამართლეს არ სურდა ეკონომიკურ ჭრილში შესვლა. იგი სახელმწიფოს გადასაცემდა პასუხისმგბელობა არასრულწლოვანის ზიანის შესახებ და პასუხსიგმებლობას არიდებდა მის მშობლებს. განსხვავებით საქართველოს სამართლისგან , სადაც ნათლად ჩანს რომ ქართული კანონმდებლობა უშუალოდ პასუხისმგებლობას ანიჭებს მშობლებს ან ზედამხედველ პირებს.

[72]სასამართლოშიარასრულწლოვანთაპასუხისმგებლობადამშობელთაპასუხისმგებლობაარასწულსლოვნისმიერგამოწვეულიზიანი სთვის (ირლანდია)

5.2 არასრულწლოვნის სამოქალაქო პასუხიმგებლობის შედარებითი ანალიზი ანგლო-ამერიკული და კონტინენტური სამართლის ქვეყნების მიხედვით.

კონტინენტური სამართლის ქვეყნების ასევე ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების სამართლის განხილვით თამამად შეგვიძლია ვთქვათ,რომ არასრულწლოვნის ზიანის გამომწვევი ქმედების სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგბელობა თითქმის ძალზედ განსხვავდება. რიგ შემთხვევაში იგი ენიჭება მხოლოდ მშობლებს, რიგ შემთხვევაში მშობლებსა და ზედამხედველებს . ასევე გასათვალისწინებელია ის საკითხიც რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა გაუფრტხილებლობის ხარისხზე მსჯელობს და ამით ცდილობს არასრულწლოვნის დაცვას, ირლანდიის სამართალი ცდილობს რომ მშობლებს არაარიდოს მათი შვილის ქმედებით გამოწვეული ზიანი სახელმწიფომ აანაზღაუროს.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო თეზისში, რომლის მიზანი იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე:1008-ე მუხლებით გათვალისწინებულიი სამართლებრივი პრობლემების წარმოჩენა დელიქტური ვალდებულებების შესახებ, განხილულია არასრულწლოვნის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. მოცემულ თეზისში გამოყენებულია შედარებითი სამართლებრივი მედოთი. კვლევისას ჩართულია ქართული და გერმანული კანონმდებლობა, ძირითადად კი საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსები, ასევე ევროპის საბჭოსა და პარლამეტის ის დირექტივები,რომლებიც ითვალისწინებენ შესწავლის ობიექტისა და საგნის სპეციფიკას. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საუბარია არასრულწლოვნის უფლებაუნარიანობაზე, ქმედუნარიანობასა და დელიქტ უნარიანობაზე, მის თავისუფლებაზე სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში. წარმოჩენილია არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებასა და სრულწლოვნის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შედარებითი ანალიზი. განხილულია ზიანის ცნება, სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შედარება დელიქტურ პასუხისმგებლობასთან. ასევე უცხოური მიდგომებიდან საუბარია არასრულწლოვნის სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე ანგლო ამერიკული იგივე საერთო სამართლის მიხედვით და ასევე კონტინენტური სამართლის ქვეყნებში. შესაფერისი საერთაშორისო დოკუმენტების, სამეცნიერო კვლევითი ნაშრომების და სასამართლო პრაქტიკის გამოძიების შედეგად გამოვლინდა პრობლემები, რომლებიც საქართველოში საჭიროებენ ეფექტური გზებით აღმოფხვრას. კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ უცხოურ პრაქტიკასთან შედარებით საკმაოდ მწირია ქართული კანონდმებლობის ფარგლები არასრულწლოვნის სამოქალაქო პასუხისმგებლობის მიმართ და ამ უკანასკნელის დელიქტური პასუხისმგებლობის შესახებ დასახვეწია ქართული სამართლებრივი რეალობა.

საერთო სამართლის სასამართო პრაქტიკიდან წარმოჩინდა, თუ როგორ განსხვავდება იგი ქართული მიდგომისაგან, სადაც სახელმწიფოს გადაეცემოდა პასუხისმგებელობა არასრულწლოვანის ზიანის შესახებ და პასუხსიგმებლობას არიდებს მის მშობლებს. განსხვავებით ქართული სამართლისგან, სადაც ნათლად ჩანს რომ ქართული კანონმდებლობა უშუალოდ პასუხისმგებლობას ანიჭებს მშობლებს ან ზედამხედველ პირებს. უცხო ქვეყნის სამართალთან შედარებამ ცხადყო, რომ უცხოური პრაქტიკა უკვე იმ საწყისებზე იწყებს გადასვლას როცა არასრულწლოვნის დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას სახელმწიფოს უწესებს. მშობელს იმიტომ ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომ შვილს ვერ ასწავლა ის გარემოებები საზოგადოების თავშეყრის ადგილას როგორი ქმედებაა დასაზრახი და როგორი მისაღები. თუ გავითვალისწინებთ ამერიკის მაგალითს გაუფრთხილებლობის საკითხის განხილვის დროს, ალბათ მასთან შედარების დროს გაუფრთხილებლობის საკითხზე დღევანდელობაში ალბათ დღეში 10 დელიქტური ქმედება ხდება სკოლებში, რომელსაც არ მოყვება რეაგირება.

„მიუხედავად იმისა რომ ქართული სახელმწიფო და სამართალი თავისი არსებობის მრავალ საუკუნეს ითვლის, სამწუხაროდ, არც სახელმწიფოს და არც სამართალს განვითარების თანამედროვე დონისთვის არ მიუღწევია.“ [73] ჩვენი ქვეყნის სამართლის დოქტრინა არასრულწლოვანთა პასუხისმგბელობის მიმართ ზიანის ანაზღაურების ნაწილში ძალზე მწირია, იმის მიუხედავად რომ თითქმის ყოველდღე ხდება არასრულწლოვნის მიერ დელიქტი, ანაზღაურების ნაწილში სასამართლო პრაქტიკა თითქმის არ გვაქვს რადგან სასამართლომდე საკითხი არ მიდის და ამის მოგვარება პირადად მხარეებს შორის ხდება. ასე, რომ ამ კანონის აღსრულების პრობლემასაც ვაწყდებით. სსკ 992 მუხლი სასამართლო პრაქტიკით იხვეწება ,ასევეა სსკ-994 მუხლიც, მაგრამ დელიქტური ვალდებულების ზოგადი ცნებისგან განსხვავებით სასამართლო პრაქტიკა უშუალოდ არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანის ანაზრაურებაზე თითქმის არ გვაქვს.

კვლევისშედეგადგამოვლინდა პრობლემები, როგორიცაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და კერძო სამართლის სხვა კანონები არ იძლევიან ზიანის ლეგალურ დეფინიციას. ვერც სასამართლო და ვერც იურიდიული დოქტრინა უნივერსალური პასუხის გაცემას ვერ

[73]ჭანტურია ლ., შესვალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში, გამომც. „სამართალი“, თბ., 1997, 1

ახერხებს, მისი განმარტება სასამართლო გადაწყვეტილებებში და აკადემიურ ნაშრომებში გვხვდება, რაც საკმაოდ დიდ პროლემას წარმოადგენს, რადგან იმისათვის რომ დადგინდეს არასრულწლოვნის პასუხისმგებლობა, პირველ რიგში ზიანი უნდა იყოს სახეზე. თუ ლეგალური დეფინიცია არ გვაქვს ქართულ კანონმდებლობაში, რიგ შემთხვევებში იმის გარკვევაც რთული იქნება არის თუარა სახეზე არასრულწლოვნის პასუხისმგებლობა.
დელიქტურვალდებულებებთანდაკავშირებულიისეთისამართლებრივიპრობლემები
გამოვლინდა, რომლებიც დაუყოვნებლივ საჭიროებს გადაწყვეტას.საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცდილობს სახელშეკრულებო და დელიქტური სარჩელის კონკურენცია გამორიცხოს და პირდაპირ უთითებს ურთიერთობებზე, რომელთა მიმართ დელიქტური პასუხისმგებლობის წესები უნდა იქნეს გამოყენებული.ეს პრობლემური საკითხია პრაქტიკაში.

რეკომენდირებულია განისაზღვროს, არასრუწლოვნის დელიქტური პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს განზრახვის და გაუფრთხილებლობის ცნებები, გაიმიჯნოს უხეში და მსუბუქი გაუფრთხილებლობის ცნებები, თითოეული ცალ-ცალკე ჩამოყალიბდეს.ამისათვის ზოგადი კრიტერიუმები დადგინდეს, რომელთა საშუალებითაც პირს მიეცემა საშუალება შეაფასოს სამართლებრივად არასრუწლოვნის ქმედება, როგორც გაუფრთხილებლობით ქმედება უხეში ან მსუბუქი.ცნებები იმგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ არაპირდაპირი (თუ სამოქალაქო ურთიერთობისთვის დამახასიათებელ აუცილებელ წინდახედულობის ნორმებს მსუბუქად არღვევს) და უხეში (მძიმე დარღვევა აუცილებელი ნორმის) გაუფრთხილებლობის გამიჯვნა გამარტივდეს.პრობლემიდან გამოსავლად მიმაჩნია მეტი რეაგირება მოყვეს არასრულწლოვნის მიერ ზიანის გამომწვევ ქმედებას,რაც ხელს შეუწყობს უკვე სასამართლო პრაქტიკის დახვეწას და არასრულწლოვნებში სამართლებრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებას, რადგან უცხოური პრაქტიკა უკვე ისე არის ამ კუთხით დახვეწილი, რომ მათთან სასამართლოში მტკიცებულად მიიღება ექსპერტიზის მიერ არასრულწლოვნის გონებრივი მომწიფებულობის დადგენა.

ბიბლიოგრაფია

<u>ქართული ლიტერატურა:</u>

ბესარიონ ზოიძე -, საქართველოსსამოქალაქოკოდექსისკომენტარი, წიგნიმე-3, თბ., 2001, 391.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

ზოიძებ.,ქონებრივიპასუხისმგებლობავალდებულებათადარღვევისათვის, თბ., 1989,

საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ

მ. შალიკაშვილი და გ. მიქანაძე - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯუ- ლების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამარ- თლებრივი საფუძვლები. რუსთავი 2011.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. იუსტიციის მინისტრის ბრძანება #216 'განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე'.

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ

საქართველოს კანონი სახალხო დამცველის შესახებ

საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში (6.02.2018)

https://police.ge/files/pdf/arasrulclovanebi/law.pdf[03.05.2019, 21:37];

არასრულწლოვანთა მართმსაჯულება - მორის შალიკაშვილი (თბილისი,ფრაიბურგი,სტრასბურგი 2016) © გამომცემლობა "მერიდიანი"

საქართველოს შვილად აყვანის და მინდობით აღრზდის შესახებ

რამდენიმე მოსაზრება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე- ლ. ჭანტურია

სამართლებრივი რეფორმების სახელმძღვანელო არასრულწლოვნებზე, მაისი 2011

იხ. ახვლდეიანი ზ. ვალდებულებიტი სამართალი თბ.,1999 . 65

მ. დუნდუა, დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელსეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა

ი. ხერხეულიძე -არასრულწლოვანთა სასჯელის გამოყენების შედარებითი ანალიზი აშშ-სა და საქართველოში. სტატიათა კრებული: „არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულე- ბითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები“. ლეკვეიშვილი, მ./შალიკაშვილი, მ. (რედ.). თბილისი 2011.

გ. გაბრიჩიძე - თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თა- ვისუფლებების სფეროში. წიგნში: კორკელია, კ.(რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტან- დარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. თბილისი 2006.

დ. უზნაძე - ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი 2006

გ. ხუბუა - სამართლის თეორია. თბილისი 2004

გ.სვანიძე - რამდენიმე მოსაზრება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შესახებ. (დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით #325, 2012 წლის 22 მარტის, ქ. თბილისი).

ე. კენჭაზე - საქართველოს ზოგასაგანმანათლებლო დაწესებულებებში არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტატისტიკა და მდგომარეობის ანალიზი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

მ.დუნდუა დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელსეკრულებო პასუხიმგებლობის თანაფარდობა.

ი. ხარაზი, ქ. კვინიკაძე - კანონისმიერივალდებულებითიურთიერთობები, ლექციებისკურსი, თბ. 2016წ.

ჭანტურია, სამოქალაქოსამართლისზოგადინაწილი, 2012

საქართველოს კანონი სკოლამდელი აღრზდისა და განათლების შესახებ

საქართველოს კანონი სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ

განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე ბავშვის უფლებათა კოდექსი

<u>უცხოური ლიტერატურა:</u>

გენერალური კომენტარი #5. (2003)

ევროკავშირის დუბლინის III საბჭოს რეგულაცია, პარაგრაფი 13, მე-6 მუხლი. 2011 კვალიფიციური დირექტივა, პარაგრაფი 18.

2011 წლის ანტი ტრეფიკინგის დირექტივა

ჰამილტონი,ქ., არასრულწლოვანთა მართმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები. თბილისი, 2011

ბილსონი და ჰარვინი 2003

ლუიზიანას სამოქალაქო კოდექსი

[1]ნაპოლეონის კოდექსი 1800წ.

https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/crc.aspx[1.07.2019, 21:25];

ევროპული კომისიის, მოქმედების გეგმა არათანმხლებ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით (2010-2014), COM (2010) 213, საბოლოო, ბრიუსელი, 6 მაისი 2010

ფინეთის ბავშვთა კეთილდღეობის აქტი

2008 წლის დაბრუნების დირექტივა, პარ.22

ჰოლტი. ჯ - ბავშვობიდან გამოსვლა : ბავშვთა საჭიროებები და უფლებები (1975)

ბრენანი- ბავშვის მორალური სტატუსი: ბავშვთა უფლებები, მშობელთა უფლებები და ოჯახის სამართალი.

ს. და ნოგლი, რ. სოციალური თეორია დ პრაქტიკა 23 (1997)

რ. გერიგი და ფ.ზიმბარდო - ფსიქოლოგია და ცხოვრება. მე-16 გამოცემა. თბილისი 2009.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი

Principles, Defi nitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR) Outline Edition Prepared by the Study Group on a European Civil Code and the Research Group on EC Private Law (Acquis Group) Based in part on a revised version of the Principles of European Contract Law Edited by Christian von Bar, Eric Clive and Hans Schulte-Nölke and Hugh Beale, Johnny Herre, Jérôme Huet, Matthias Storme, Stephen Swann, Paul Varul, Anna Veneziano and Fryderyk Zoll

გერმანიისსამოქალაქოკოდექსი – სასწავლოკომენტარი – შეიმუშავადოქტორიანკროფჰოლერმაჰამბურგისუნივერსიტეტისსრულიპროფესორი

ნიუენჰუიზენი გაერთიანება და ნაციონალური დაზღვევის წინააღმდეგ1962 (1) SA 760 (W) 761; ვანდევაიფერიდაჯუბერტი(1991)

ვანდერვაიფერი ‘ არასრულწლოვანთაკონსტიტუციური დაცვა’1997

Anwaltkommentar zum BGB AT, 2005

(DCFR) Draft Common Frame of Reference (DCFR) Outline Edition Principles, Defi nitions and Model Rules of European Private Law Edited by Christian von Bar, Eric Clive and Hans Schulte-Nölke and Hugh Beale, Johnny Herre, Jérôme Huet, Matthias Storme, Stephen Swann, Paul Varul, Anna Veneziano and Fryderyk Zoll

Heinrichs in Palandt BGB Komm, 67.

<u>სასამართლო პრაქტიკა:</u>

ჯოუნსი სანტამის წინააღმდეგ 1962 (3) SA 826 (A)

MCHALL VS WATSON CHA (1966) 115 CLT199 7 MARCH

Turner vs Bucher 308 So. 2d 270 (1975)No. 54887.

დებრუინი მინისტრი ვანვერვოერის წინააღმდეგ1960 (3) SA 820 (O) 825

ნიუენჰუიზენი გაერთიანება და ნაციონალური დაზღვევის წინააღმდეგ1962 (1) SA 760 (W) 761; ვანდევაიფერიდაჯუბერტი(1991)

დადასტურება ნაშრომის ორიგინალობის შესახებ

აღნიშნული ნაშრომი შესრულებულია ჩემ მიერ. არ გამომიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითებების გარეშე და ვაცნობიერებ, სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.

თარიღი: **15.07.2019**

ხელმოწერა: **მ.წირქვაძე**

გვარი, სახელი	**წირქვაძე მიხეილ**
მიმართულება	**კერძო სამართალი**
თემის სათაური **(ქართულენოვანი,** **ინგლისურენოვანი)**	**არასრულწლოვნის სამოქალაქო სამართლებრივი** **პასუხისმგებლობა** The Civil Legal Responsibility For the Juvenile
ხელმძღვანელი	**აკაკი გაწერელია**
საკონტაქტო ინფორმაცია	577771849 Tsirkva@gmail.com
ჩაბარების თარიღი	15.07.2019
ხელმოწერა	